საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 25 სექტემბერი 1997 №116 (481) | ფასი 40 თეთრი


ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიშინიოვი
რესპუბლიკური
24 სექტემბერი

**მოლდოვა 0:1 საქართველო**

მსოფლიოს ჩემპიონატი
მეორე შესარჩევი ჯგუფი

**მოლდოვა:** რომანენკო, ფისტიკანი (კირილოვი 66), ტესტიმიცანუ, კულიბაბა, გაიდამაშჩუკი (რებეჯა 56), სტროენკო, კურტიანუ, პოპოვიჩი, მიტერევი (ჩებოტარი 54), როგაჩოვი, კლეშჩენკო
**საქართველო:** ტოგონიძე, ლობჟანიძე, შეყილაძე, კალაძე, ჩიხრაძე, გახოკიძე (ჯამარაული 91), ნემსაძე, ყაველაშვილი (შელია 82), ქეცბაია, ქინქლაძე, ა. არველაძე (გუჩუა 66)
0:1 ქეცბაია (10)
**გაფრთხილება:** შეყილაძე, სტროენკო
**გაძევება:** კალაძე (63), ქინქლაძე (71), კურტიანუ (71)
**მსაჯი:** დ. კორელი (ისრაელი)

მერაბ
გამულაშვილი

კიშინიოვიდან



# ერთმანეთის ნერვებს ნუ მოვუშლით!

## რევანში შედგა. ღირსეული კი?




ქეცბაიას გოლი და მეტი არაფერი

მოლდოვა-საქართველოს აქაურები არეული საქმეებით და სასკანდალო ამბებით დახვდნენ, ყოველ შემთხვევაში, დამხვდურთა ნაუბარმა და საგაზეთო წერილებმა ასეთი შთაბეჭდილება დატოვა. ეს კი მოლდოველთა მთავარ მწვრთნელ იონ კარასს დიდ პრობლემებს უქმნის. გარიგებული თამაშები და მსაჯების მოქრთამვა იშვიათი რამ არ ყოფილა. გაზეთებში უამრავ სკანდალურ ისტორიას წავაწყდი, რაც, ავტორთა აზრით, მოთამაშეთა კლასის ზრდას აბრკოლებს და კარასს სწორედ ეს აღარდებს. მას ფედერაციასთანაც არცთუ სასურველი ურთიერთობა ჰქონია. „კონსტრუქტორულ" — „ზიმბრუს" თამაშისას ეროვნული გუნდის წევრი, ზიმბრუელი კლეშჩენკო მეტოქის მცველთან წაკინკლავდა, რისთვისაც ფედერაციამ 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ეს კი ჩვენებთან შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე ხდება. კარასი შეფიქრიანებულა, ქართველებთან მატჩამდე მცირე დრო რჩება, ნაკრების წევრი 19 სექტემბერს ჩემპიონატის შეხვედრას რომ გამოტოვებს, ამან კვალი არ დააჩნიოსო და ფედერაციისთვის უთხოვია, კლეშჩენკოს დასჯისგან ჯერჯერობით თავი შევიკავოთო, მაგრამ უარი მიიღო. თუმცა, მარტო ეს არ არის. „ზიმბრუს" ქომაგები ახალ ჩემპიონ „კონსტრუქტორულს" შავბნელთა ჩემპიონს ეძახიან — თამაშებს ყიდულობენ და ჩვენს უფულო გუნდს ამით სჯობნიანო. ერთი სიტყვით, მოლდოველები თავიანთი პრობლემების რამენაირად მოგვარების ცდაში არიან, ჩვენთვის კი მთავარი, ბუნებრივია, ნაკრებთა შეხვედრა გახლდათ — ყველა ხომ რევანშზე ვფიქრობდით, რევანშზე და შედგა კიდეც. ახლა ისღაა საკითხავი — ღირსეული თუ არა?

რუმინელი ებრაელი მსაჯის დანი კორელის სასტვენი და აქაურ ქომაგთა გამაყრუებელი ყიჟინა ერთი იყო. ქომაგთა მხარდაჭერით შეგულიანებული მასპინძლები ისე ექცეოდნენ ჩვენებურთ, უნებლიეთ მატჩის წინ კარასის ნათქვამი გამახსენდა — რა თქმა უნდა, მოსაგებად ვითამაშებთ, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო. მოლდოველთა მწვრთნელმა ეს ერთ-ერთ აქაურ გაზეთს განუცხადა. მწვრთნელისა მოთამაშეებსაც შეუსმენიათ და ბურთს თავქუდმოგლეჯილნი დასდევდნენ, ცდილობდნენ, როგორმე ტერიტორიული უპირატესობა მოეპოვებინათ. ქართველები ფრთხილობდნენ, ზედმეტი ხიფათისგან თავს იზღვევდნენ, მშვიდად აგორებდნენ ბურთს და შესაძლებლობისთანავე არჩილ არველაძეს უგზავნიდნენ. თუმცა, ასეთი ტაქტიკით არაფერი გამოვიდა, არველაძის დახმარებას პარტნიორები აგვიანებდნენ, მარტო კი ვერაფერს გახდა, ბურთს უმალ მასპინძლები ეუფლებოდნენ და სწრაფად შეტევას ცდილობდნენ. ის იყო, მოლდოველები გვარიანად გახურდნენ, რომ ფეხბურთელებს, თავიანთი გულშემატკივრებიანად, ყველაფერი წყალში ჩაეყარათ: საათს დავხედე, მე-10 წუთი ახალდაწყებული გახლდათ, მოლდოველთა მორიგი იერიში სტოპერად გამწარებულმა ლობჟანიძემ ჩაჭრა, თავადვე დაიძრა და აჩიკოს გადააწოდა, უფრო სწორად, თავის დაწყებული მას გააგრძელებინა, აჩიკომაც ორი მცველი მშვენივრად მოიშორა, ქეცბაიას ასევე ორ მცველს შუა გაუჭრა და გოლმაც არ დააყოვნა — თემურმა ისე აუღელვებლად დაჰკრა ბურთს, წინგამოსულ რომანენკოს შანსი აღარ დაუტოვა. სტადიონი ერთბაშად დადუმდა.

გაგულისებულმა მასპინძლებმა ხეირიანად ათამაშება მოინდომეს, მაგრამ ისე ქაოსურად და უჭკუოდ აგორებდნენ ბურთს, ჩვენი მცველებისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა ამგვარ იერიშთა ჩაშლა. მით უმეტეს ნემსაძისთვის, რომელიც ცხადაძის არყოფნაში ლიბეროს მოვალეობას ასრულებდა, თანაც საკმაოდ საიმედოდ. პარტნიორთა დაზღვევა, გნებავთ, შეტევის დაწყება, ბურთის საჯარიმოდან ამოტანა, ყველაფერს უნაკლოდ ასრულებდა და რამდენჯერმე სწორედ მისმა დროულმა მოძრაობამ იხსნა ქართველები მოსალოდნელი ხიფათისგან. თუმცა საკუთარი კარის მშრალად შენახვაში მხოლოდ ნემსოს როდი მიუძღვის წვლილი. მარჯვენივ ჩიხრაძე რომელიც თითქმის მთელ ფლანგს აკონტროლებდა. კალაძე — მანამ თამაშობდა, კლეშჩენკოს ფეხი არ გაანძრევინა, შეყილაძე — ასევე გაძევებული კურტიანუს მეურვე და როგაჩოვის გადამკიდე ლობჟანიძე.

მასპინძლებმა ტოგონიძეს პირველად მხოლოდ 32-ე წუთზე დაურტყეს, თუმცა მიტერევის საკმაოდ შორიდან გასროლილი ჩვენ მეკარეს ხელებში მიუვიდა. შემდეგ ერთი-ორჯერ კიდევ შეაწუხეს ტოგონიძე და მორჩა. ამათგან გამოსარჩევი კი ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მოხდა, როცა ჩვენმა მეკარემ ექვსწამიან ზღვარს გადააჭარბა და ისედაც ცოტა არ იყოს ტენდენციურმა, თქვენ წარმოიდგინეთ, მოლდოვურად მშვენივრად მოლაპარაკე კორელმა თავისუფალი დანიშნა. საფრთხის შიშმა გული კი შემიქანა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, კლეშჩენკოს დარტყმულს კალაძე დაუხვდა და სიტუაციაც განიმუხტა. კარასი საათს დასცქეროდა, ყიფიანიც იგივეს აკეთებდა. ორივეს ერთი სული ჰქონდა, ტაიმი დამთავრებამდე მისულიყო.

შესვენების შემდეგ პირველი ათი წუთი უპირატესობა ჩვენებისა გახლდათ. რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს მასპინძლებს, თუმცა ხეირიანი ვერაფერი შექნეს. ამასობაში, ეტყობა, კარასმა მოახლოებული საფრთხე იგრძნო, ორი შეცვლაც ზედიზედ გააკეთა. მაგრამ ამათ ისედაც უსუსურ გუნდს კიდევ ორი არაფრის შემმატებელი რებეჯა და ჩებოტარი დაემატნენ. ამ ცვლილებებამდე ერთი წუთით ადრე კი მთელი მატჩის განმავლობაში ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი მოხდა: ჩვენს საჯარიმოში შექმნილი არეულობის განმუხტვა ლობჟანიძემ სცადა, მაგრამ ბურთი აეჭრა და რომ არა ტოგონიძის ბრწყინვალე რეაქცია, ალბათ ანგარიშიც გათანაბრდებოდა. სხვა, ასე თუ ისე აღსანიშნავი, ბევრი აღარაფერი მომხდარა. მასპინძლები უთავბოლოდ, უაზროდ მოძრაობდნენ. ამათი შემყურე ქართველებზეც ვერ იტყოდი, მაინც და მაინც ტაქტიკურად გააზრებულად და უშეცდომოდ მოქმედებენო, მაგრამ მოლდოველებს ესეც ეყოთ. საკითხავი ისაა, ჩვენ თუ გვყოფნის და გვაკმაყოფილებს ასეთი თამაში.

ახლა მსაჯობაზეც, თუმცა კი ამის თაობაზე ზემოთ ნაწილობრივ უკვე ვთქვი. ჩემთვის ახლაც გაუგებარია, რატომ გააძევა კორელმა კალაძე. გიოს წითელს შეიძლება როგორმე გამართლება მოუძებნო, ბოლო-ბოლო, იმას იტყვი, იჩხუბა და იმიტომო, მაგრამ კალაძე? ამან ისეთივე ვარდნა შეასრულა, როგორიც არა ერთხელ მასპინძლებმა. ისე, გასაკვირი არც არაფერი ყოფილა. სხვას რას უნდა ელოდო მსაჯისგან, რომელიც მოლდოველებთან ისე საუბრობდა, კაცს აქაური გეგონებოდა.

ახლა, აზრი აღარ აქვს მატჩის შესახებ კიდევ დაწვრილებით თხრობას. თანაც, ბევრი საინტერესო და საგულისხმო რომ ყოფილიყო რამე, მესმის, ორი ამდენიც არ დამეზარებოდა, მაგრამ...

დანარჩენი შაბათს იყოს.

### მატჩის შემდეგ

დავით ყიფიანი:

— თავისუფლად შეიძლებოდა, დღევანდელი მატჩი წაგვეგო და ყველაფერი მსაჯის ბრალი იქნებოდა. ცხრა კაცით რატომ დაგვტოვა, ვერაფრით გამიგია. თუ უხეშობის აღკვეთა სურდა, ყვითელი ბარათის გამოყენებაც შეიძლებოდა. მოლდოველები ბათუმურ მატჩთან შედარებით უფრო მობილურები და თავდადებულები ჩანდნენ, ისევე, როგორც ჩვენები. ასევე რომ გვეთამაშა პოლონელებთან, 1:4 ნალდად არ წავაგებდით.

ყიფიანმა ცოტაც ტრავმირებულ ჩვენებურებზე ისაუბრა, ბოლოს კი იხუმრა კიდეც — პოლონელებთან თამაშისას თქვენი იმედი მაქვს, იმედია, მოუგებთ და მესამე ადგილზე საქართველო გავაო.

იონ კარასი:

— ფეხბურთელები ასე დავარიგე — ქართველები ტექნიკურები არიან, ბურთი თავისუფლად არ მიალებინოთ, თორემ დავისჯებით-მეთქი. გაშვებული გოლიც ჩვენების დაუდევრობის ბრალია. მსაჯობაზე რა ვთქვა? ეს შანსიც ვერ გამოვიყენეთ. რაც შეეხება ნიკა ტოგონიძეს, მისი თამაშით აღფრთოვანებული ვარ. მას დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ.

ბოლოს ყიფიანს ერთმა აქაურმა ჰკითხა, ჩვენში დარჩეს და, კიშინიოვიდან რამდენი ქულის წაღებას აპირებდითო. ჩვენში თუ უნდა დარჩეს, გვერდზე გავიდეთ და იქ ვისაუბროთ, ყველაფერს კარგად აგიხსნითო — მიუგო ყიფიანმა და სწრაფადვე დატოვა დარბაზი. მანამდე კი ერთიც თქვა, მოლდოველებთან კიდევ ერთხელ ჯგუფში მოხვედრაზე — მოდით, ერთმანეთის ნერვებს ნუ მოვუშლითო...

II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 7 | 6 | 0 | 1 | 15:2 | 18 |
| იტალია | 7 | 5 | 2 | 0 | 11:1 | 17 |
| პოლონეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| საქართველო | 7 | 2 | 1 | 4 | 4:9 | 7 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 0 | 7 | 2:18 | 0 |

VI ჯგუფი

**სლოვაკეთი 1:2 ესპანეთი**
**მალტა 0:1 ჩეხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 23:5 | 23 |
| იუგოსლავია | 9 | 6 | 2 | 1 | 24:7 | 20 |
| სლოვაკეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:11 | 16 |
| ჩეხეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:6 | 13 |
| ფარერები | 9 | 2 | 0 | 7 | 9:28 | 6 |
| მალტა | 9 | 0 | 0 | 9 | 2:32 | 0 |

**ფუხელ**

**ფეხბურთი.** შვეიცარიის ჩემპიონატი. XII ტური.
არაუ — ბაზელი 1:0, კარუჟი — ლოზანა 3:7, გრასჰოპერი — კრინსი 1:0, ლუცერნი — ციურიხი 2:2, სენტ გალენი — სერვეტი 1:1, ქსამაქსი — სიონი 1:4.
ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. არსენალი — ვესტ ჰემი 4:0, ქოვენთრი — კრისტალ პალასი 1:1, ლესტერი — ბლექბერნი 1:1, მანჩესტერ იუნაიტედი — ჩელსი 2:2, ნიუკასლი — ევერტონი 1:0, შეფილდი — დერბი 2:5, საუთჰემპტონი — ლიდსი 0:2.

## მეტოქეები იგებენ

გუშინ საქართველოს ნაკრების ბოლო მეტოქე პოლონეთმა ოლშტინში ლიტვის ნაკრებს ამხანაგურად უმასპინძლა და 2:0 მოუგო. გოლები ცეზარ კუხარსკიმ (18) და ვოიცეხ კოვალჩიკმა (55) გაიტანეს. პოლონელთა შემადგენლობა ასეთი იყო: კლაკი (ონიშკო 46), სვერჩევსკი, ლაპინსკი, ზელინსკი, კოზმინსკი, მაიაკი (ზაიაცი 46), ივანი, ბრუეჩეკი, ლედვონი (გესიორი 46), კუხარსკი, კოვალჩიკი (ვოიცეხოვსკი 69).

გუშინვე თბილისში ჩამოსვლამდე ბელარუსის ჩემპიონატის ბოლო მატჩი გამართა მოზირის მპკც-მ და მოლოდეჩნოში იქაური გუნდი 2:0 დაამარცხა. გოლები კუშნირმა (36) და დენისიუკმა (51) შეაგდეს.

## საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

1997 წლის 6 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიის სპეციალური სხდომა, რომელმაც იმსჯელა ქართულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ოფიციალური მოწვევის მიუხედავად, სამწუხაროდ მის მუშაობაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

კოლეგიამ გააანალიზა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობა, ფეხბურთის ფედერაციის მიერ ამ მიმართებით წარმოებული მუშაობა და უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია იგი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს წინადადება მიეცა, სასწრაფოდ მოიწვიოს და ა/წლის 1 დეკემბრამდე ჩაატაროს საგანგებო, რიგგარეშე ყრილობა, რომელზედაც დეტალურად იქნება გაანალიზებული არსებული მდგომარეობა, მისი გამომწვევი მიზეზები და დაისახება კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული ღონისძიებანი.

დაისვა საკითხი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, როგორც მარეგისტრირებელი ორგანოს წინაშე, სპორტის დეპარტამენტთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი ჩატარება არსებული საერთაშორისო ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და თვით ფედერაციის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით.

აღნიშნულმა დადგენილებამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების მძაფრი, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. იგი ფედერაციის საქმიანობაში უხეშ, უცერემონიო ჩარევად იქნა მიჩნეული. ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ბატონების ნ. ახალკაცისა და დ. კვინიკაძის ინტერვიუებში ხაზგასმულია, რომ სპორტის დეპარტამენტმა გადააჭარბა თავის უფლებებს, როცა რიგგარეშე ყრილობის ჩატარების წინადადებით მიმართა ფედერაციას, ამას იგი იმიტომ აკეთებს, რომ მიზნად ისახავს ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლას. მათ სპორტის უმაღლესი სახელმწიფო ორგანო დაადანაშაულეს, საქართველოს კანონმდებლობისა და ფედერაციის წესდების უხეშ დარღვევაში, უმეცრებასა და უცოდინარობაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოველკვირეულ გაზეთ „ქართული ფეხბურთისა" და ზოგიერთი სხვა გაზეთების ფურცლებზე სისტემატური ხასიათი მიიღო ამგვარი უსაფუძვლო და ამასთან პიროვნული ღირსების უხეშად შემლახველი პასკვილების გამოქვეყნებამ.

ფედერაციის თავკაცები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დღეს საქართველოში ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა, რომ არავითარი ბრალი არ მიუძღვით იმ კურიოზულ და სკანდალურ პერიპეტიებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ პერიოდში.

ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები, იყენებენ, რა კანონს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ, დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ისინი აღიარებენ მხოლოდ ფიფასა და უეფას იურისდიქციას და არაფერს სხვას. ეს მაშინ, როდესაც თავიანთი წესდებით მოვალენი არიან ამასთან ერთად პირველ რიგში იხელმძღვანელონ ქვეყნის კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის მიუხედავად, ისინი კვლავ არ ცნობენ ქვეყნის კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვით მიღებულ კანონს სპორტის შესახებ და ხელისუფლების წარმომადგენელთა რეკომენდაციებსაც კი მათ საქმიანობაში უხეშ ჩარევად და დიქტატად მიიჩნევენ.

ამასთან არც კონსტიტუციამდე მიღებული კანონი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შესახებ და არც საერთაშორისო ფედერაციების დებულებები და რეგლამენტები არ კრძალავენ კანონიერ ჩარევებს ფეხბურთის განვითარების საქმეში, გარდა წმინდა საფეხბურთო და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული სპეციფიკური საკითხებისა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არავის არა აქვს უფლება აუკრძალოს ხელისუფლებას მის ქვეყანაში ამა თუ იმ დარგის უკეთ განვითარების მიზნით გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის ზემოთაღნიშნული დადგენილების შესახებ ფეხბურთის ფედერაციამ დაუყოვნებლივ აცნობა უეფასა და ფიფას. მიმართვის ტექსტი ჩვენთვის სამწუხაროდ უცნობია, მაგრამ, როგორც მიღებული პასუხებიდან ჩანს საერთაშორისო ფედერაციები ცალმხრივად და ტენდენციურად არიან ინფორმირებულნი მიმდინარე პროცესებზე.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი კვლავაც იმედოვნებს, რომ ფეხბურთის ფედერაცია არ გაამწვავებს ისედაც რთულ სიტუაციას, მიიღებს ჩვენს წინადადებას, მოიწვევს საგანგებო ყრილობას, იმსჯელებს საერთო სატკივარზე და მიღებული გადაწყვეტილებებით დასაბამს მისცემს არსებული მდგომარეობის გამოსწორებას.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი კიდევ ერთხელ აცხადებს იმის შესახებ, რომ არავითარი სურვილი არ გააჩნია თვითმიზნურად მიმართოს კანონით მინიჭებულ უფლებას, ფედერაციის ხელმძღვანელთა უფლება-მოსილების შეჩერების შესახებ; რომ მას არავის მიმართ არ ამოძრავებს პირადი ინტერესები. მისი მიზანია ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანა და შემდგომი განვითარება.

საჭიროების შემთხვევაში დეპარტამენტი გამოიყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას, ამასთან ყველა სახის ინფორმაციასა და დოკუმენტს წარუდგენს ფიფასა და უეფას, რათა მათი უშუალო მონაწილეობით მოხდეს საჯარო, ურთიერთშეთანხმებული ღონისძიებების დასახვა საერთო მიზნის — ქართული ფეხბურთის აღმავლობისთვის მყარი საფუძვლის ჩაყრის მისაღწევად.

# საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალი

პირველი თამაშები

**რუსთავი**
„ფოლადი"
23 სექტემბერი

**მეტალურგი 2:2 აკადემია**

**მეტალურგი:** კოროშინაძე, ფაცურია, გურიელიძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე (პატარიძე 25), ზირაქაძე (შეყილაძე 80), მელაძე, გაბელაია (არსოშვილი 36), ნ. მინდიაშვილი, დ. გოგოლაძე, კ. ალადაშვილი
**აკადემია:** ჩაჩიბაია, ლეკაშვილი (ქანკოტაძე 46), ხიზანიშვილი, მ. ვაშაკიძე, კვიციანი, მაზანაშვილი, სიმონიშვილი (ჯულელი 65), ბახტაძე, ალავიძე, კაკაშვილი, ჩადუნელი (მუჯირი 89)
0:1 კაკაშვილი (5), 1:1, 2:1 გოგოლაძე (25, 28), 2:2 სიმონიშვილი (31)
**გაფრთხილება:** კედელაშვილი
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**თბილისი**
„შევარდენი"
23 სექტემბერი

**მორკინალი 3:1 ცხინვალი**

**მორკინალი:** გუგუნავა, ამბიძე, კველიშვილი, ლაპიაშვილი (კაპანაძე 65), დვალიშვილი (არჩვაძე 90), აბაზაძე, ნადირაძე (ალავიძე 58), დ. ცომაია, კ. გოგოლაძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი
**ცხინვალი:** ქესანაშვილი, ცხადაძე, სამხარაძე, ფხალაძე, ყაჩლაშვილი, ნადიბაიძე (წიქარიძე 68), მაისურაძე, ნადირაძე, ეჯოშვილი, ნასუაშვილი, ბოჭორაძე
1:0 გოგოლაძე (22 პ), 2:0 დვალიშვილი (48), 2:1 ფხალაძე (71), 3:1 გოგოლაძე (88)
**მსაჯი:** შ. ხანიაშვილი (თბილსი)

| | |
|---|---|
| მორკინალი 3:1 | ცხინვალი |
| მეტალურგი 2:2 | შსს აკადემია |
| მარგვეთი 2:0 | ჯუბა |
| სიონი 1:0 | ასკ |
| ლოკომოტივი 6:0 | კოდაკო |
| ტორპედო 7:0 | ოქროს საწმისი |
| სამგურალი 2:2 | კოლხეთი (ხობი) |
| ჟინერი 0:1 | თსუ |
| მაღაროელი 2:2 | მეშახტე |
| დილა 4:0 | ივერია |
| ოდიში 6:1 | სქური |
| გურია 1:1 | მერცხალი |

**ზესტაფონი**
ცენტრალური
23 სექტემბერი

**მარგვეთი 2:0 ჯუბა**

**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, ლანჩავა, მორალიშვილი (კაკაბაძე 82), ჟვანია, ფოფხაძე, კაციაშვილი, სულაკაძე (ი. ბოგვერაძე 84), ფოცხვერაშვილი, ზაქარეიშვილი (შავგულიძე 55), მაღრაძე, ხეტეშვილი
**ჯუბა:** ჭოლაძე, მანაგაძე, ბრეგვაძე (გეგეშიძე 46), იობიძე (უგულავა 46), ხელაძე, თოდუა, ბუნტური (მიქელთაძე 49), ნიკოლეიშვილი, გენძეხაძე, ბაკურაძე, გ. ბოგვერაძე
1:0, 2:0 მაღრაძე (27, 79)
**გაფრთხილება:** ხეტეშვილი, გენძეხაძე
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**თბილისი**
„26 მაისი"
23 სექტემბერი

**ლოკომოტივი 6:0 კოდაკო**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ქვარცხავა, ჩიგოშვილი, ბარნოვი, ჟორჟიკაშვილი, გამცემლიძე, გ. კვეტენაძე (კოტორაშვილი 75), ქვილაძე, დაუშვილი, გ. გვაზავა (ვასაძე 60), მესხიძე (მიზანდარი 66)
**კოდაკო:** ხელაია, კასრაძე, კირკიტაძე, ჩანადირი, კილაძე, გაბიდაური, რ. ცომაია, მერებაშვილი, ბოკერია, ვ. გოგიჩაიშვილი, ურუშაძე
1:0 მესხიძე (5), 2:0 გვაზავა (23), 3:0 გამცემლიძე (57), 4:0, 5:0 ვასაძე (61, 77 პ), 6:0 კოტორაშვილი (85)
**გაფრთხილება:** ჩანადირი
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

**კობა ინასარიძე** რუსთავიდან

## აკადემიური აკადემია

თასის მეთექვსმეტედფინალურ წყვილებში კენჭისყრამ შედარებით ძლიერი მეტოქე სწორედ რუსთაველებს შეჰყარა, რადგან ყველა პირველჯგუფელი განთესილი გახლდათ. აკადემიის სიძლიერე სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს, გუნდი ჯერჯერობით პირველობს და თამაშიც თუ ისევე გააგრძელა, როგორც რუსთავში, სულ ადვილი შესაძლებელია, მომავალ სეზონში ერთი ჯგუფით აინაცვლოს. თუმცა „მეტალურგის" მეტოქე სხვა განუთესავთა შორის გამორჩეული იყო, ყველა მაინც მასპინძელთა შთამბეჭდავ გამარჯვებას ელოდა. ლიდერობა ლიდერობად, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის ამბავი კარგად მოგეხსენებათ — პირველსა და მეორე ჯგუფს შორის განსხვავება რომ დიდზე დიდია, ახალი ამბავი არ არის.

ჰოდა, სტადიონზე შეკრებილი მაყურებლებიც ამის იმედად იყვნენ. ეტყობა, ფეხბურთელებიც არანაკლებ თავდაჯერებულნი გამოვიდნენ სათამაშოდ და დაისაჯნენ კიდეც. მოვლენები უკვე მეხუთე წუთზე უსწრაფესად განვითარდა: ლეკაშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთი ერთ-ერთ რუსთაველ მცველს მოხვდა, არასწორად ადგილშერჩეულ გურიელიძეს რიკოშეტით გადაევლო თავს და კოროშინაძესთან პირისპირ დარჩენილ კაკაშვილს თავისიანთა დაწინაურება აღარ გასჭირვებია. ამის შემდეგ სტუმრები კიდევ უფრო გონივრულად ამოქმედდნენ — მასპინძლებს ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას არ აძლევდნენ, თავად კი სწრაფი კონტრშეტევის განსახორციელებლად პირველსავე შესაძლებლობას იყენებდნენ. თანაც, აკადემიის სტუდენტებისგან შეგულიანებულები, რომლებსაც მრავლად მოეყარათ თავი „ფოლადზე" ფეხბურთელების საქომაგოდ, ისე მწვავედ უტევდნენ მეტალურგებს, ნამდვილად იმსახურებდნენ კიდევ სამ-ოთხ გოლს. მაგრამ პირიქით მოხდა — რუსთაველთა შეტევისას მინდიაშვილმა მარცხნიდან დაბალი ჩააწოდა, სრულიად მოულოდნელად კი გოგოლაძემ მცველებსაც დაასწრო, მეკარესაც და გაათანაბრა. სამიოდე წუთის შემდეგ ისევ გოგოლაძემ იმარჯვა: ამჯერად ალადაშვილის მარჯვნიდან ჩაწოდებულისთვის ორ მცველს შეებრძოლა, ბურთიც დაისაკუთრა და სტუმრებიც მეორედ გაამწარა. კიდევ სამი წუთი გავიდა და ისევ გოლი. ახლა უკვე მასპინძელთა კარში. ესეც მცველთა შეცდომის შედეგად. გაბელაია — გურიელიძემ ერთმანეთს ვერ გაუგეს, თითქმის წართმეული ბურთი უკანვე დაუბრუნეს სიმონიშვილს, რომელიც კვლავ კოროშინაძის ცხვირწინ აღმოჩნდა. ამანაც სრულიად აუღელვებლად გაიტანა. ტაიმიც ასე დამთავრდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ხელსაყრელ მომენტს, „მეტალურგს" რომ ჰქონდა.

მეორე ნახევარში სურათი არ შეცვლილა. „მეტალურგი" გამუდმებით უტევდა, „აკადემია" კი მშვიდად და ჭკვიანურად იცავდა თავს, თანაც ისე, მასპინძლებმა ერთი ნორმალური მომენტიც ვერ შექმნეს. თავად პოლიციელებმა კი იმდენჯერ გაუშვეს ხელიდან თითქმის ასპროცენტიანი საგოლე შესაძლებლობა, ფრე ნამდვილად საცოდაობა იყო...

**ვახტანგ ბზიკაძე**

ზუსტად ერთი წლის წინ, ოღონდ სექტემბრის დასაწყისში, „ცხინვალი" თბილისს ესტუმრა საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალში სათამაშოდ. მაშინაც მეტოქემ ცხინვალელებს „შევარდენის" სტადიონზე უმასპინძლა. რებსაც გვარიანი ბრალი მიუძღოდათ. ისინი მასპინძელთა შეტევებს ძალისძალით უმკლავდებოდნენ და კონტრშეტევის წამოწყებასაც არ ივიწყებდნენ. თავად განსაჯეთ: პირველი ტაიმი მინიმალური ანგარიშით, პენალტით წააგეს, მეორის დებიუტში ერთიც გაუშვეს, მაგრამ დროზევე გაქვითეს და



ქესანაშვილმა კაპანაძეს (№16) და ცომაიას აჯობა

## ეს ჩვენი ცხინ-ვალია

ახლა „შევარდენი" თსუ-დ გარდაიქმნა და აქედან აყრილი მცხეთაში გადაბარგდა. „ცხინვალს" კი ამჯერად „მორკინალი" დაუხვდა, თუმცა, ისე ვერ, როგორც „შევარდენი" (5:1 მოუგო). უფრო სწორად, სტუმრები იყვნენ შეცვლილნი და მოძლიერებულნი. ეს მათ უფრო გარეგნულ იერზე — მშვენიერ ფორმაზე, თავად თამაშზე ეტყობოდათ, თორემ ფინანსური პრობლემები, თანაც დიდი ხნის გადაუჭრელი, ამათაც ჰქონიათ და აბა, რა გასაკვირია. ჩვენში უსახლკაროებს კი არა, თავზე ჭერი რომ აქვთ, მათაც უჭირთ.

წინა წლებში „ცხინვალის" გამოსვლა ძველ ქართულ მიწაზე პოლიტიკური ამბიციების შესაბამისი იყო, ახლა კი საქმე სხვაგვარადაა. არა, ცხინვალელები პირველ ჯგუფში გადასვლაზე მაინცდამაინც არ ოცნებობენ, უფრო თავიანთ საქმეს აკეთებენ და მშვენივრადაც.

გუშინწინ „მორკინალს" ძირითადის ხუთი მოთამაშე აკლდა: სამი ახალგაზრდულ ნაკრებში გამოეძახათ, ორიც ტრავმას შეეწუხებინა. იქნებ, ესაც იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ რანგით დაბალ მეტოქეს შთამბეჭდავად ვერ მოუგო, მაგრამ, მერწმუნეთ, ამაში სტუმ-

თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ხანიაშვილს ნაღდ პენალტზე თვალი რომ არ დაეხუჭა, გათანაბრებასაც შეძლებდნენ.

თამაში მაინც უფრო „მორკინალისა" იყო, მაგრამ პირველ ტაიმში მხოლოდ პენალტით იხეირა. გოგოლაძემ, ჭუმბურიძემ და აბაზაძემ არაერთგზის რომ ვერ გაიტანეს, ეს ცხინვალელთა მეკარე ქესანაშვილის დამსახურებაცაა. მართლაც შესანიშნავად ითამაშა და მისით სტუმართა მწვრთნელი რობერტ ამბრიაშვილიც კმაყოფილი გახლდათ.

მეორე ტაიმში, „მორკინალმა" უფრო სუსტად რომ ითამაშა, მეტად იხეირა — ბოლო, გოგოლაძის გოლი მეტად ლამაზი კი იყო, მაგრამ იღბლიანი უფრო გამოდგა.

მოკლედ, სტუმრებმა თბილისელებს თავი კი აატკიეს, მაგრამ ისე ვერა, შემდეგ წრეში გასვლის საფრთხე რომ შეექმნათ. მითუმეტეს, საპასუხო მატჩისთვის „მორკინალს" სამი ფეხბურთელი მაინც შეემატება.

ისე, ცხინვალელთა თამაში მართლაც გულგასახარი იყო. გულსაწყვეტი მხოლოდ ისა, რომ ამ ბიჭებს დახმარება აკლიათ. არადა, ეს ყველას ვალია.

**ბესიკ ჟანგავაძე** ზესტაფონიდან

## დრონი მეფობენ...

ულმობელმა ბედისწერამ იმერელ ვიცე-ჩემპიონებს ძნელი ხვედრი არგუნა. ერთ დროს ქვეყნის უცვლელად პირველი გუნდის ამფორიაქებელი რანგით დაქვეითებულა და თავგანწირვით ცდილობს პირველჯგუფელთა მარაქაში დაბრუნებას. მასპინძელთა გუნდს, კი, ალბათ, არანაკლები თავგამოდება დასჭირდება იქვე ადგილის შესანარჩუნებლად. ვინ იცის, რომ არა თასის გათამაშება, იქნებ ეს გუნდები კიდევ კარგა ხანს ვერ დამდგარიყვნენ ერთმანეთის პირისპირ საპაექროდ. ერთი კი ფაქტია — იმ დღეს სტადიონზე მისული მაყურებელი სინანულით აქნევდა თავს, მათი თამაშის შემყურე. ენანებოდათ ერთ დროს სტუმართა მრისხანე, ლაღი და ჯიგრიანი თამაშის მიმდევარი გუნდი. თავისთავად ცხადია, ერთი-ორად განიცდიდნენ თავიანთი სათაყვანებელი გუნდის შეჭირვებულ ყოფასაც.

ეჭვგარეშეა, ეროვნული თასის ამ გათამაშებაში დიდი ამბიციები არცერთს რომ არ აქვს. იქნებ სწორედ ამიტომაც იყო, ზესტაფონელთა მთავარმა მწვრთნელმა ზოგიერთ ფეხბურთელს სათამაშო ამპლუა რომ შეუცვალა — ხეტეშვილი და მაღრაძე თავდასხმაში დააყენა, კაციაშვილი მარჯვენა მცველად გაამწესა, კარის დარაჯობა კი ახალგაზრდა მერკვილიშვილს მიანდო. ყოველივე ამან მასპინძელთა თამაში თუ არ გააუმჯობესა, არც გაუცუდებია, თუმცა სამტრედიელებმა, რომელთაც დასაკარგი ნამდვილად არაფერი ჰქონდათ, თამაშის დასაწყისშივე საკმაო თავსატეხი გაუჩინეს მათ. სტუმრებმა მეტოქეს სწრაფი ტემპი და ხისტი ფეხბურთი შესთავაზეს. მათ არც მასპინძლები ჩამორჩნენ, მაგრამ ეს მათთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ერთი ხანობა დაიბნენ და უპირატესობას სამტრედიელები დაეუფლნენ. ტაიმის შუაგულში ზესტაფონელები საბოლოოდ დალაგდნენ, რგოლები შეაკავშირეს და პირველივე საგოლე მომენტი ხელიდან არ გაუშვეს: ხეტეშვილმა ბრწყინვალე გამჭოლი გადაცემით მარჯვენა ფლანგზე გარღვევაზე გაიყვანა კაციაშვილი, რომლის ერთი შეხებით საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა მაღრაძემ უპრობლემოდ გაგზავნა კარში. გოლმა მასპინძლები კიდევ უფრო გაახელა და მათი შეტევები გამწვავდა — ჯერ ხეტეშვილმა, შემდეგ კი ფოცხვერაშვილმა სცადეს ჭოლაძის კარის დალაშქვრა.

მეორე ნახევარში ისევ სტუმრები აქტიურობდნენ. მათ ყოველივე იღონეს ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ ბაკურაძეს ორჯერ უმტყუნა მიზანმა: პირისპირ გასულმა ჯერ ძელს გაარტყა, შემდეგ კი კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ხარიხას დაუმიზნა. გულხელდაკრეფილნი არც ზესტაფონელები იყვნენ, ხეტეშვილის მოედნის ცენტრიდან დაწყებული სოლო რეიდები მოსვენებას არ აძლევდა სტუმართა მცველებს. მას რამდენჯერმე ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ იხეირა. ერთ-ერთი მისი წამოწყებული შეტევის შემდეგ კი მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მაღრაძემ დუბლიც გაახერხა. საბოლოო ანგარიში ცუდი როდი იქნებოდა, რომ არა ერთი რამ. მაყურებელი დაუკმაყოფილებლობის გრძნობით ტოვებდა სტადიონს — ყოფილ „სამტრედიას", ახლა კი „ჯუბას", რაც უნდა იყოს, მაინც მეორე ჯგუფის გუნდი ჰქვია.

**მამუკა კვანტალიანი**

## მერვედფინალი გარანტირებულია

ასეა — დაბალი ჯგუფების წარმომადგენლებს არავითარი შანსი არა აქვთ, თასის გათამაშებაში თუნდაც მეოთხედფინალს უწიონ. ამ მხრივაც ძლიერ ჩამოვრჩებით ევროპას. მავანი, ალბათ, შემომედავება, მაგრამ ზემოთ თქმული დასანანი სინამდვილე გახლავთ. პირველი ჯგუფის გუნდები ხომ საშუალოზე დაბალი დონისა გვყავან და წარმოიდგინეთ, მესამე ჯგუფისანი რაღა იქნებიან.

არა, კოდაკოელ ჭაბუკ ფეხბურთელებზე აუგს ნამდვილად ვერ ვიტყვი. მათ მოინდომეს, თავი გაწირეს და ის ფეხბურთი გვაჩვენეს, რაც გამოცდილებაოსტატობამ შეაძლებინათ. მეტს ამ ბიჭებს ჯერ ვერაფერს მოსთხოვ და ამიტომაც იყო, ჯერჯერობით პირველი ჯგუფის ერთ-ერთი აუტსაიდერის უნებური მსხვერპლი რომ შეიქმნენ.

„ლოკომოტივი" მთელი ორი ტაიმი ძალდაუტანებლად, ლაღად ირჯებოდა. სტუმრებმა მასპინძელთა კარის დარაჯი ერთადერთხელ შეაწუხეს. ეს პირველი ტაიმის ბოლოს იყო: გაბიდაურის ჯარიმა ვოლკოვმა ეფექტური ნახტომით კუთხურზე მოიგერია. დანარჩენ დროს მეკარე უსაქმურობისგან ითოშებოდა.

მასპინძლებმა ექვსი უპასუხო ბურთი გაიტანეს. მეტიც შეეძლოთ, მაგრამ ორჯერ გვაზავას გაუცუდდა დარტყმული, ერთხელ მესხიძეს. ახლა „ლოკომოტივმა" განმეორებით შეხვედრაში თავისი ფარმკლუბის აღსაზრდელებიც რომ დააყენოს, შემდეგ წრეში გასვლა განაღდებული აქვს.

ახლა გოლებზე. ისინი თავითაც გავიდა, ფეხითაც მახვილგონივრული გადაცემიდანაც და კუთხურის გათამაშების შემდეგაც. თერთმეტმეტრიანიც ვიხილეთ, მაგრამ მეექვსე გოლი ულამაზესი გამოდგა — კოტორაშვილმა კოდაკოელთა მთელი დაცვა მოატყუა, მეკარეც მიაყოლა და გაიტანა.

ბოლოს ყველაზე მთავარი: გუშინწინდელ მასპინძელთა მწყობრი თამაშიც თვალშისაცემი იყო. არადა, ჩემპიონატში ვაკელებს სწორედ სიმწყობრე აკლდათ. სამომავლოდ გუნდი, ალბათ, უფრო მოუმატებს და ამის ერთ-ერთი წინაპირობა ახალი მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძეა. „მერანის" ინტერტოტოზე გამყვანი, შემდეგ კი ქალთა ეროვნული გუნდის კონსულტატი მახარაძე გუშინწინ ოფიციალურად დაუნიშნავთ „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად. ახალ გუნდში თემურ მახარაძის დებიუტი თვალსაჩინო გამოდგა, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**ქუთაისი**
„გივი კილაძე"
23 სექტემბერი

**ტორპედო 7:0 ოქროს საწმისი**

**ტორპედო:** მამარდაშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, გეწაძე (ლომიძე 70), ჯინჭარაძე (ვ. გიგიაძე 67), მაღლაკელიძე (ი. ხუჯაძე 54), კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, ნოზაძე, მეგრელაძე, ვაჩიბერაძე
**ოქროს საწმისი:** ფოფხაძე, ლომინაშვილი, სანდუხაძე, აბუთიძე, ვეკუა, ივანიშვილი, კუპრავა, კინწურაშვილი (სვანაძე 80), ლანჩავა, კიკვიძე (ალფაიძე 74), ნინილაშვილი (ხელაძე 34)
1:0 კვეტენაძე (36), 2:0 ნოზაძე (40), 3:0 ხვადაგიანი (44), 4:0 კვეტენაძე (47), 5:0 მეგრელაძე (50), 6:0 ნოზაძე (71), 7:0 ვაჩიბერაძე (84)
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

კიშინიოვი
რესპუბლიკური
23 სექტემბერი

**მოლდოვა 0:0 საქართველო**

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

1. ხმარუკი
5. სოსნოვსკი
4. გილჩა 2. პლატონი
6. კატემსუსი
10. კომლიონოკი
7. ბორსუკი 9. ბორეცი 8. სტრატულატი
11. ბარბუროში 3. ვლუკიანჩიკოვი

11. აშვეთია 10. ჩალაძე
8. ალექსიძე 9. მუჯირი 6. ქებაძე
7. კიკნაძე
2. სილაგაძე
5. ხუჯაძე 4. დიდავა
3. შალამბერიძე
1. გვარამაძე

შეცვლა: პლატონი — 13. ბერკო (53), ჩალაძე — 13. ქორიძე (68), კომლიონოკი — 14. შოიმუ (78)

გაფრთხილება: ბორეცი, ალექსიძე, სოსნოვსკი

მსაჯი: რ. ზედლაჩეკი (ავსტრია)

# ძნელია უმოტივაციოდ

**მერაბ მამულაშვილი** კიშინიოვიდან



ვლადიმერ გუცაევი და დავით გვარამაძე კმაყოფილნი არიან

ახლა გუცაევისგან ყველა სასწაულს ელის. ჩვენი ახალგაზრდების ყოველი მატჩის წინ მოსალოდნელ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. არც არის გასაკვირი — ადრინდელ შეხვედრებზე რომ არაფერი ვთქვათ, იტალიელებთან გამარჯვებამ ჩვენ მადა გაგვიღვიძა, ნაკრებს და მის მწვრთნელს კი სახელი დაუგდო. ახლაც განსაკუთრებულს ველოდით, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდათა თავკაცს პრობლემები არ აკლდა, რაზეც ადრეც გაუწყეთ და გახსენებით თავს არ შეგაწყენთ. უფრო ძლიერი შემადგენლობით კი მოლდოველებთან ფოთში თამაშისას ჩვენებმა მძიმე გამარჯვება მოიპოვეს.

რატომღაც ეროვნული გუნდის იტალიასთან თბილისური შეხვედრა გამახსენდა და აი, რატომ — პირველივე წუთზე მეტოქემ ჩვენი კარის ძელი და მასთან ერთად თამაშის დამსწრე მცირერიცხოვან ქართველთა გულებიც შეაზანზარა. დამეთანხმებით, სასიამოვნო დებიუტი არ გახლდათ. ჩანდა, რომ მასპინძლები გასამარჯვებლად დამუხტულიყვნენ. მართალია, იტალიასთან არ გაუმარჯვიათ, თუმცა პოლონეთთან სტუმრად 3:1 მოგება მათაც რწმენას მატებდა.

ჩვენები რწმენაშემატებულ მეტოქეს მედგრად დახვდნენ და ნელ-ნელა აბურთავდნენ. იმას კი ვერ ვიტყვი, რუსთავის თამაშის დარი ჟინი და ოსტატობა გვაჩვენეს-მეთქი, მაგრამ ბრძოლა კი გვარიანი გაუჩალეს მასპინძლებს, განსაკუთრებით მოედნის ცენტრში, სადაც ერთი კვირის უვარჯიშებელი კიკნაძის დაყენება ბოლო მომენტშიღა გადაწყვიტა გუცაევმა. მეტოქეები ერთობ ირჯებოდნენ ერთმანეთისთვის სათამაშო სივრცის შესაზღუდად და მსაჯსაც ხშირად უწევდა თავისი არსებობის შეხსენება. თუმცა, თამაშს მაინც კორექტული ეთქმოდა. ბურთი ხშირად იცვლიდა მიმართულებას, ფლანგებიც ხშირად იტვირთებოდა, თუმცა კი მცველები უკეთ ირჯებოდნენ, ვიდრე წინახაზელები. და მაინც, უგოლობამ არ გაფიქრებინოთ, რომ სახიფათო მომენტი არ შექმნილა. მე-7 წუთი: ჩალაძემ მარცხენა ფრთიდან ჩაჰკიდა საჯარიმოში, სადაც ქებაძემ უეფექტურესი მაკრატელით ახლა უკვე მოწინააღმდეგის გულები შეაფრიალა. მეკარემ იყოჩაღა. მე-10 წუთი: გვარამაძემ კიდევ ერთხელ გაამართლა მეტსახელი „კოშკა" და მართლაც კატისებრ ნახტომში მოიგერიია სტრატულატის ახლო თაური დარტყმა. ასეთი შანსი მასპინძლებს აღარ მისცემიათ, თავად კი უფრო და უფრო შეწუხდნენ. ქებაძე, აშვეთია, ალექსიძე და ჩალაძე გამუდმებით უფრთხობდნენ ხმარუკს სიმშვიდეს, განსაკუთრებით კი მუჯირი, რომელზეც ვერ ვიტყვი, შესაძლებლობანი ბოლომდე გამოავლინაო, მაგრამ მისი ბურთთან მიახლოებისას მოლდოველთა მეკარე ყვირილს აძლიერებდა, ყვირილი კი იცოცხლეთ, გვარიანი სცოდნია. მუმუმ მხოლოდ პირველ ტაიმში ექვსჯერ ფრიად სახიფათოდ დაარტყა, 37-ე წუთზე კი ჩალაძეს ბურთი მშვენივრად გააყოლა საჯარიმოში, ამანაც მცველი ეფექტურად ჩამოიცილა და დასარტყმელი ვითარება რომ შეექმნა, სწორედ მაშინ მოინდომა ნამეტანი — ტრიუკის შესრულება, ზედმეტი მოძრაობა გამოუვიდა და მშვენიერი მომენტიც დაიკარგა. ტაიმის ბოლოს კი ალექსიძემ მეტოქე გააცუცურაკა და მიწაზე დაუშვებლად უძლიერესად დაარტყა. ბურთი სასურველ მიზანს რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა.

მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო გამწვავდა. ბურთი ცენტრში არ ჩერდებოდა, პინგ-პონგი გაგახსენდებოდა. ყველაზე სასიამოვნო კი ის გახლდათ, რომ გამოცოცხლებული გულშემატკივრებისა და მასპინძლების ერთობლივ ზეწოლას ჩვენები არ დაუბნევია, პირიქით, მეორე ტაიმში ქართველებს უფრო მეტი სახიფათო მომენტები ჰქონდათ, ვიდრე პირველში, თუმცა აშვეთიამ, ჩალაძემ და ალექსიძემ ვერა და ვერ იხეირეს. მუჯირიც თავისას არ იშლიდა, ურტყამდა და ურტყამდა, მაგრამ რად გინდა, შედეგი არ ჩანდა. განსაკუთრებით 73-ე წუთზე მომხდარზე კი დეტალურად ღირს მოყოლა. აშვეთია ორ მცველს გასცდა და... 1988 წელს ევროპის ჩემპიონატზე რუსების კარში ვან ბასტენის მიერ გატანილი სუპერგოლი გამახსენდა — მიხომაც დაახლოებით იმავე მანძილიდან და იმავე ადგილიდან შემობრუნებით ბურთს დაჰკრა და... როგორ ვინატრე, რომ ხარიხა სულ ორიოდე სანტიმეტრით მაღლა ყოფილიყო, მაშინ ხომ ბადე გაიზიარებდა ძელის ბედს... მაგრამ ალფ რამსეის თქმისა არ იყოს, კარგი დარტყმული ისაა, გოლით რომ სრულდება, ძელს მორტყმული რა გასახარიაო. ასეა, ამდენ ძელს თუ მეკარის მოგერიებულს ერთი, თუნდაც ულამაზო გოლი სჯობია, ის კი არა და არ ჩანდა. ბოლოში მოლდოველები ერთობ გაფაციცდნენ და ჩვენი ნახევარმცველებიც ველარ ყოჩაღობდნენ, შეცვლაზე შემოსულ ბერკოს და სტრატულატს სწორედ მაშინ ჰქონდათ თავისიანთა გახარების შანსი, თუმცა ვერც ამათ ივარგეს და საბოლოოდ ფრე ორივე მხარისთვის მისაღები და ლოგიკური გამოდგა, რაც ითქვა კიდეც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელთაგან.

*ვლადიმერ გუცაევი:* შედეგი, თამაშიდან გამომდინარე, ლოგიკურია, ამას ვვარაუდობდი კიდეც. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა და ეს ცოტას არ ნიშნავს. თანაც, ფეხბურთელს სტიმული უნდა ჰქონდეს — რაც უნდა ვუმტკიცოთ მოთამაშეს, ჟინიანად ითამაშე, აუცილებლად უნდა მოვიგოთო ეს ძნელი მისაღწევია, რადგან ჩვენ პირველ ადგილზე გასვლის შანსი დავკარგეთ. ასე რომ მოხდებოდა, ამას ჯერ კიდევ შეკრების დაწყებისას ვგრძნობდი და აკი ასეც მოხდა — ჩვენი პოტენცია სრულად ვერ გამოვავლინეთ. იტალიასთან შეხვედრა სხვა იყო — მაშინ თითოეული მოთამაშე მოსაგებად იყო შემართული, გამარჯვება პრესტიჟს გვიმაღლებდა. იმ შეხვედრა დამარწმუნა, რომ ბიჭებს ძალუძთ დიდი ფეხბურთის თამაში.

ბოლოს გუცაევმა იხუმრა, იმედია, აწი ერთმანეთს აღარ შევხვდებითო, რაზეც მისი მოლდოველი კოლეგა *სერგეი დუბროვინი* სიამოვნებით დაყაბულდა, სერიოზულად კი ეს თქვა:

— დიდი ხანია, რაც შინ არ გვითამაშია და ბიჭებიც ნერვიულობდნენ. ვფიქრობ, ხელსაყრელი მომენტების გამოუყენებლობის მიუხედავად ფრე ლოგიკური იყო.

ამის შემდეგ საუბარი ფეხბურთზე კი არა, უფრო ნაკრებთა ფინანსური მდგომარეობის თაობაზე გაგრძელდა. დუბროვინმა გულისტკივილით გვამცნო, პოლონეთში მოგებისთვის პრემიაც კი არ მოუციათო. მერე ერთი ჟურნალისტი გუცაევს შეუჩნდა, თქვენი გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე დეტალურად გვითხარითო.

— თქვენ სპორტული ჟურნალისტი ხართ თუ ეკონომისტი? — ხუმრობით დააბრუნა კითხვა გუცაევმა.

ამას მერე მოლდოველები კიდევ გუცაევს უმთავრესად იმის გასაგებად მიეძალნენ, რომელი მოლდოველი მოთამაშე გახსოვთ ყველაზე კარგადო. მოკლედ, საუბარი გულითადად და მხიარულად გაგრძელდა, თავად ქართველთა მწვრთნელს ეტყობოდა, რომ ურიგო ხასიათზე არ იყო. მართალია, მას ამჯერად ფოკუსი არ გამოუვიდა, თუმცა არც ბევრი დააკლდა. ჩემს ამღლევანდელ შთაბეჭდილებას თუ ენდობით, მოლდოველებთან კიშინიოვში თამაშს ჩვენების ბათუმში ინგლისელებთან შეხვედრაზე ნაკლები შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. მოკლედ, გუცაევისგან ახლა ყველა მოგებას ელის, ასე კი ხან ხდება, ხანაც — არა. ყველა თამაში ჯერ ვის მოუგია?..

II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 7 | 4 | 3 | 0 | 6:1 | 15 |
| იტალია | 7 | 3 | 2 | 2 | 17:5 | 11 |
| საქართველო | 7 | 2 | 3 | 2 | 5:9 | 9 |
| პოლონეთი | 6 | 0 | 5 | 1 | 6:8 | 5 |
| მოლდოვა | 7 | 1 | 1 | 5 | 3:14 | 4 |

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
[illegible]
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

## ფეხბურთის რუკასთან



**ნიგერიელი** ნვაკვო კანუს უმცროსმა ძმამ კრისტოფერმა „აიაქსთან" ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 17 წლის კრისტოფერი, რომელიც შარშანწინ ამსტერდამელთა რეზერვში თამაშობდა, ძმას გაჰყვა „ინტერში", საიდანაც იგი შვეიცარიის „ლუგანოს" ათხოვეს, თუმცა, საბოლოოდ იგი მაინც ჰოლანდიას დაუბრუნდა.

**განელი** ენტონი იებოა ინგლისურმა „ლიდსმა" მაინც გაუშვა გერმანიაში. ფრანკფურტის „აინტრახტში" თამაშისას ბუნდესლიგის ზედიზედ ორგზის საუკეთესო ბომბარდირმა „ჰამბურგთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იებოაში გერმანელებმა სავარაუდოდ ორნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადეს. რაც შეეხება ფეხბურთელის საგადასახადო ინსპექციასთან გაუგებრობას, მისმა მენეჯერმა იოახიმ ლუკელმა განაცხადა, ყველაფერი რიგზეაო.

**გერმანიის** თასის მეორე წრეში გათამაშებიდან გავარდა უეფას თასის მფლობელი „შალკე", „ტრირთან" რომ 0:1 წააგო. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: დუისბურგი — ბოხუმი 1:0, აინტრახტი — ვერდერი 3:0, მანჰაიმი — კოტბუსი 4:3, ალემანია — ლაიფციგი 2:1, კარლსრუე — არმინია 2:2 (პ 2:4) ვოლფსბურგი — ბაიერნი 3:3 (პ 3:4).

**ბრაზილიელები** ოქტომბერში მაროკოს უმასპინძლებენ და ზაგალომ მორიგი ამხანაგურისთვის აქედანვე იწყო მზადება. ნაკრების სრული შემადგენლობა იმ კვირაში იქნება ცნობილი, მანამდე კი მხოლოდ მიწვეულ ლეგიონერთა ვინაობა დაასახელა. ერთი წლის შესვენების შემდეგ კვლავ გუნდშია ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ზე ელიასი, რომელიც აგვისტოში ლევერკუზენიდან მილანის „ინტერში" გადავიდა. მის გარდა ნაკრებში „რომაში" მობურთალი კაფუ, ესპანეთის ჩემპიონი ზე რობერტო, ექსმიდლსბროელი ჟუნინიო და თბილისში ხაჟყოფი „ბაიერის" ემერსონი ძოხვდნენ.

**სამხრეთ აფრიკამ**, რომელიც გაისად პირველად მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატში, მზადების გეგმა გამოამზეურა. აფრიკის ჩემპიონები მსოფლიოს ჩემპიონატის წინ — 31 მაისს და 3 ივნისს — ავსტრიას და დანიას ეთამაშებიან ამხანაგურად. მათ მაისში ინგლისი მიიპატიჟეს, თუმცა, რას იზამენ ბრიტანელები, ჯერ უცნობია.

**ინგლისელი** სტიუარტ რიპლი, რომელმაც ნაკრებში მოლდოველთა წინააღმდეგ მეორედ ითამაშა, შესაძლოა, იტალიელებთან მატჩისთვის გამოჯანმრთელდეს. რიპლიმ მოლდოველებთან მხოლოდ 7 წუთი ითამაშა და ტრავმის გამო შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა. ახლა კი, როგორც მისი კლუბი „ბლექბერნი" აცხადებს, რომის მატჩისთვის მზად იქნება.

**ხორვატიის** ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ბოლო მატჩში „ზაგრებმა" 2:0 დაამარცხა „მლადოსტ 127".

**გერმანიაში** განახლდა ეფენბერგთან და მის მეუღლესთან დაკავშირებული სასამართლო, რომელიც გასული წლის დეკემბერში დაიწყო მუშის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო. მაშინ სასამართლომ ცოლ-ქმარს 390 ათასი მარკის გადახდა დააკისრა, მაგრამ ეფენბერგებმა იუარეს და გადაწყვეტილება გააპროტესტეს. ხელახალი სხდომის პირველ დღეს [illegible] ჩვენება გაიმეორა, მისთვის ფეხი არ დაურტყამს, უბრალოდ, [illegible] ფრაუ [illegible] კი [illegible] და ბილწსიტყვაობდაო. ეტყობა, მართლაც ასე იყო, რადგან გუშინ სასამართლომ ცოლ-ქმარი გაამართლა.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ერთი თამაში სამშაბათს გაიმართა — „ეინდჰოვენმა" დე ბილდეს ორი და სტამის გოლებით სიტარდის „ფორტუნას" სძლია 3:2. სტუმართაგან გოლები როსტმა და ჰამინგმა გაიტანეს.

**იტალიური** „ტორინოს" შოტლანდიელმა მწვრთნელმა გრემ სუნესმა განაცხადა, ჩემს გუნდს რიჩარდ გაფი ერთობ წაადგებოდაო. „გლაზგო რეინჯერსის" 35 წლის ყოფილი კაპიტანი ახლა აშშ-ში, „კანზას სიტიში" ბურთაობს. მან სუნესთან პირველსავე სატელეფონო საუბარში აპენინებზე გადასვლაზე თანხმობა განაცხადა.

**ჰონდურასის** ნაკრების მწვრთნელად პერუელი მიგელ კომპანი დაინიშნა, რომელიც ორი წლის წინ მშობლიურ ნაკრებს თავკაცობდა „კოპა ამერიკაზე".

**ინგლისში** მორიგი გარიგება მოხდა: „საუთჰემპტონმა" მილიონ 600 ათას დოლარად „ლიდსიდან" შეიძინა ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი კარლტონ პალმერი.

**სლოვაკეთის** ჩემპიონის, ჩემპიონთა ლიგის პირველსავე მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედისგან" 3:0 ძლეული „კოშიცეს" მწვრთნელად კაროლ პეშუ დაინიშნა. 52 წლის მწვრთნელი ადრე კრაკოვის „ვისლას" და ტრნავის „სპარტაკს" თავკაცობდა.

**იტალიის** თასის გათამაშებაში მესამე წრის საპასუხო მატჩში სერია A-ში ჯერჯერობით ერთადერთმა ქულადაუკარგავმა გუნდმა, მილანის „ინტერმა" შინ 3:2 მოუგო „ფოჯას" და ორი მატჩის ჯამში 4:2 მოგებით მეოთხე წრეში გავიდა. მილანელებმა მეორე შემადგენლობა ათამაშეს, მაგრამ მაინც დაწინაურდნენ რეკობას პენალტის წყალობით. მალე ფოჯელმა დევიდ დე მიკელემ ორი შეაგდო, თუმცა ბოლო რვა წუთში ჯერ ზე ელიასმა, ხოლო მერე ვინტერმა მასპინძლები გაამარჯვეს.

**საფრანგეთის** „ნანტმა", რომელსაც ჩემპიონატის რვა თამაშში ყველაზე ნაკლები, ხუთი გოლი აქვს გატანილი, გუშინ შვეიცარიის ჩემპიონატის ვიცე-ბომბარდირი გაეტანო ჯილენცა შეიძინა. რა დაუჯდათ ნანტელებს თავდამსხმელის „ბაზელიდან" შეძენა, ცნობილი არ არის, კონტრაქტი კი ოთხწლიანია.

**იტალიელი** მწვრთნელი ალბერტინო ბიგონი შვეიცარიის „სიონმა" დაითხოვა მიუხედავად იმისა, რომ კლუბმა შარშან ბიგონის ხელმძღვანელობით დუბლი შეასრულა. მწვრთნელის გაგდების მთავარი მიზეზი ჩემპიონატში სუსტი სტარტი, ჩემპიონთა თასიდან გამოვარდნა და უეფას თასის პირველ მატჩში დამარცხება იყო. თავის დროზე, 1990 წელს, ბიგონს სერია A-ც მოუგია, როცა „ნაპოლის" თავკაცობდა.

**ჰოლანდიაში** გულშემატკივრების გაავებამ და გახშირებულმა ჩხუბებმა პოლიციას ხელები დააკაპიწებინა და საიდუმლო ოპერაციების ჩატარება გადააწყვეტინა. ამ დღეებში ჰოლანდიელმა წესრიგის მცველებმა დააკავეს ამსტერდამის „აიაქსის" 20 გულშემატკივარი, რომლებიც დანებითა და ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი.

## პორტუგალია

მე-4 ტური. ლეცა — პორტუ 2:3; სპორტინგი — ბოავიშტა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 12 |
| რიუ ავე | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| გიმარაეში | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ფარენსე | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ბრაგა | 4 | 2 | 2 | 0 | 9:7 | 8 |
| მარიტიმუ | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| აკადემიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| სპორტინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 7 |
| სეტუბალი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ვარზიმი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| სალგეიროში | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| ბოავიშტა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| ლეცა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ბელენენსეში | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| კამპომაიორენსე | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| ამადორა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| შავეში | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 0 |

## რუსეთი

28-ე ტური. ლოკომოტივი — ტორპედო 3:0; ჩერნომორეცი — სპარტაკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 28 | 17 | 6 | 5 | 51:22 | 57 |
| როტორი | 28 | 17 | 6 | 5 | 49:24 | 57 |
| დინამო | 28 | 16 | 8 | 4 | 36:15 | 56 |
| ლოკომოტივი | 28 | 12 | 9 | 7 | 38:26 | 45 |
| ჩერნომორეცი | 28 | 11 | 11 | 6 | 32:22 | 44 |
| ალანია | 28 | 12 | 4 | 12 | 44:31 | 40 |
| ტორპედო | 28 | 12 | 4 | 12 | 40:34 | 40 |
| შინიკი | 27 | 10 | 10 | 7 | 28:28 | 40 |
| ზენიტი | 28 | 10 | 9 | 9 | 19:23 | 39 |
| ბალტიკა | 28 | 8 | 13 | 7 | 29:29 | 37 |
| კრილია | 28 | 10 | 7 | 11 | 24:25 | 37 |
| როსტსელმაში | 28 | 8 | 12 | 8 | 30:29 | 36 |
| ქემჩუჟინა | 28 | 10 | 5 | 13 | 28:36 | 35 |
| ტიუმენი | 28 | 9 | 5 | 14 | 25:37 | 32 |
| ცსკა | 28 | 8 | 7 | 13 | 20:37 | 31 |
| ფაკელი | 28 | 7 | 3 | 18 | 19:36 | 24 |
| კამაზი | 28 | 7 | 2 | 19 | 29:60 | 23 |
| ნ.ნოვგოროდი | 27 | 5 | 3 | 19 | 18:45 | 18 |

## ინგლისი

VIII ტური

### ლივერპული 3:0 ასტონ ვილა

**ლივერპული: ჯეიმსი, კვარმე, ბები, ბიორნებიუ, კარაგერი, მერფი (ტომპსონი 73), ტომასი, ოუენი, ბერგერი, მაკმანამანი, ფაულერი (რიდლე 75)**

**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, სტონტონი, საუთგეიტი, ტეილორი (იოაქიმი 62), დრაპერი, რაიტი, ნელსონი, გრეისონი, ემიოგუ, კოლიმორი, იორკი**

**1:0 ფაულერი (56 პ), 2:0 მაკმანამანი (79), 3:0 რიდლე (90)**

ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელებმა ბირმინგემელებთან თითქმის სათადარიგო შემადგენლობა გაიყვანეს — მათ „სელტიკთან“ და „საუთჰემპტონთან“ ნათამაშევი ცხრა ფეხბურთელი აკლდათ. მიუხედავად ამისა, მასპინძლებს სრულიადაც არ გასჭირვებიათ, მთელი თამაშის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას, რაც გოლებშიც გამოიხატა. ბირმინგემელებს, ეტყობა, ზედიზედ სამმა გამარჯვებამ აწყინა და „ენფილდ როუდზე“ მათი თამაში ჩემპიონატის სტარტზე ჩატარებულ რამდენიმე შეხვედრას ჰგავდა. „ასტონ ვილა“ უბრალოდ ცდილობდა, ხელი შეეშალა მასპინძელთათვის, თუმცა, ამასაც ვერ ახერხებდა. მიუხედავად უამრავი წამყვანი მოთამაშის დაკარგვისა, ლივერპულელებს ერთი დაუბრუნდათ — რობი ფაულერი. მწვრთნელმა იგი თავიდანვე ძირითადში დააყენა და არც შემცდარა. ფორვარდმა და ინსის არყოფნაში კაპიტნის სამკლაურმორგებულმა მაკმანამანმა ბრწყინვალედ გაუგეს ერთმანეთს და სტუმრებს შავი დღე აყარეს, მაგრამ მატჩის გმირი მაინც 17 წლის მაიკლ ოუენი გახდა, ვინც ყოველწამს იქ იყო, სადაც უმთავრესი მოვლენები ხდებოდა. სწორედ მისი წაქცევის შემდეგ შეაგდო ფაულერმა ამ სეზონში პირველი გოლი — საუთგეიტმა მაიკლი მოჩეხა და რობიმაც პენალტიდან ბირმინგემელების წინააღმდეგ ნათამაშევ მეათე მატჩში მე-11 გოლი შეაგდო. შეხვედრის მიწურულს მაკმანამანმა ჩვეულად ჩაუარა თავგზააბნეულ მეტოქეებს და მეორედ შეაგდო, სტუმართა განადგურება კი რიდლემ იმავე ოუენის პასით დაასრულა. შეხვედრას ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, პიტერ ტეილორი ესწრებოდა, რომლის მთავარი მიზანი „ლივერპულის“ ახალგაზრდა მცველის ჯიმი კარაგერის საქმეში ნახვა იყო. ფეხბურთელით ტეილორი კმაყოფილი დარჩა, ისევე როგორც მისი ლივერპულელი კოლეგა. ევანსი საერთოდ მთელი გუნდით იყო აღფრთოვანებული — წელს ნათამაშევი მატჩებიდან ბიჭები დღეს ყველაზე უკეთესად გამოიყურებოდნენო.

### ბოლტონი 1:1 ტოტენჰემი

**ბოლტონი: ბრენეგენი, ფრანდსენი, ტაგარტი, პოლოკი, სელერსი, ფიში, ტომპსონი, ბერგსონი, უითლოუ, ბერდსლი, ბლეიქი**

**ტოტენჰემი: უოქერი, ედინბურგი (არმსტრონგი 46), კალდერვუდი (ნილსენი 87), მაბათი, კემპბელი, კლემენსი, მეორნი (ვეგა 46), კარი, ფოქსი, ჟინოლა, დომინგუში**

**1:0 ტომპსონი (20 პ), 1:1 არმსტრონგი (71)**



REUTERS ბოლტონიდან

ალან ტომპსონმა „რიბოკზე“ პირველი გოლი გაიტანა

201 წუთი იცადეს ბოლტონელმა გულშემატკივრებმა, სანამ ახალ „რიბოკის“ სტადიონზე პირველი გოლი ნახეს. მართლა საბედნიეროდ, ისტორიული ბურთი — ტომპსონის პენალტი — ნელა, აუჩქარებლად გაეხვია ბადეში. ლონდონელებამდე „ბოლტონმა“ „ევერტონთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ისევე დაასრულა მატჩები, როგორც დაიწყო. ახლა კი იხეირა — ედინბურგს, მეორე ნახევარში ტრავმის გამო რომ შეცვალეს, საჯარიმოში მყოფი ნათან ბლეიქი თვალში არ მოუვიდა და ისე ეუხეშა, რომ შეფილდელმა მსაჯმა პენალტი დანიშნა. საერთოდ, მასპინძლებს დაწინაურებამდეც შეეძლოთ შეგდება, მაგრამ ინგლისელთა ნაკრების ერთ-ერთი მეკარე უოქერი შესანიშნავად ირჯებოდა. ერთხელ კი იმავე ტომპსონმა, წინ გამოსული რომ დალანდა, დაახლოებით 25 მეტრიდან დაურტყა, თუმცა იანმა რეაგირება მოასწრო. მასპინძელთა უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. შესვენებამდე ტომპსონს უპირატესობის გაზრდა შეეძლო, მაგრამ უძლიერესი დარტყმული ხარიხას მოხვდა და კარის ხაზს აქეთ დაეშვა. მასპინძლებმა შეტევები შესვენების შემდეგაც განაახლეს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ — უოქერი შეუვალი იყო. ეტყობა, შარშან ლიგის თასზე „ბოლტონთან“ ექვსი გაშვებული გოლისთვის რევანშს იღებდა. მოკლედ, სანამ ბლეიქი, ბერდსლი და სხვები ახლოდან თუ შორიდან ამაოდ ირჯებოდნენ, „ტოტენჰემმა“ საქმეს მიხედა, რაშიც გამოცოცხლებულმა ჟინოლამ და შეცვლაზე შესულმა არმსტრონგმა დაიდეს დიდი წვლილი. ფრანგმა მარჯვნივ გაილაღა, არმსტრონგმა კი საჯარიმოში მეტოქეთა დაჯაბნას მიჰყო ხელი. სტუმართა მორიგი შეტევისას ჟინოლას პასით დომინგუშმა ისეთი მომენტი გააფუჭა, ალბათ, არასდროს დაავიწყდება. მანვე ორიოდ წუთის შემდეგ, ამჯერად კემპბელის პასით, კვლავ ვერ ივარგა. ოფლის ფუჭად ღვრის შემდეგ ლონდონელებმა მოისაზრეს და განსხვავებული შეტევა წამოიწყეს, რომელსაც მოჰყვა კიდეც ქულის მომტანი გოლი — ჟინოლა-არმსტრონგის წყვილმა მცველებს თავგზა აუბნია და კრისმა მიწაზე დასაშვებად მფრინავ ბურთს თავი დაუხვედრა — ბრენეგენი უძლური აღმოჩნდა. ისე, ბლეიქი 89-ე წუთზე რვა მეტრიდან ამაოდ რომ არ გარჯილიყო, „ტოტენჰემი“ ზედიზედ მეორე ფრეს ვერ ითამაშებდა.

### უიმბლდონი 4:1 ბარნსლი

**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნსი, ბლექველი, ჰიუზი, იუელი, კორტი, ერლი, ეკოკუ, პერი**

**ბარნსლი: უოტსონი, ეპლიბი, შერიდანი, ლედელი (ხრისტოვი 83), ბალოქი, თინქლერი (მარსელი 71), კრიჟანი, ბერნარდი, მოუზისი, რედფერნი, დე ზიუ**

**0:1 თინქლერი (41), 1:1 კორტი (49), 2:1 ერლი (65), 3:1 ჰიუზი (68), 4:1 ეკოკუ (84)**

მაჩანჩალათა მატჩი მათი თავგადაკლული გულშემატკივრების გარდა აბა, ვის მიიზიდავდა და ამიტომაც იყო, რომ უხვგოლიან, მაგრამ არც ისე საინტერესო შეხვედრას ამ სეზონში პრემიერლიგის მატჩებზე ყველაზე ცოტა, 7 668 კაცი დაესწრო. ფანებმა ღრიალით კი აიკლეს „კრისტალ პალასთან“ საზიარო „სელჰარსტ პარკის“ სტადიონი, მაგრამ პირველ ნახევარში ერთადერთი სახიფათო შეტევის გარდა, თინქლერის გოლი რომ მოჰყვა, ვერა იხილეს რა — შერიდანის ჩაკიდებული ჯარიმა სამხრეთაფრიკელმა გოლად გარდასახა.

დასვენება მასპინძლებს წაადგათ და განახლებიდან ოთხ წუთში კარლ კორტმა წელს ნათამაშევ მეოთხე მატჩში მეოთხედ შეაგდო. მალე მასპინძელთაგან უდაოდ საუკეთესო ერლიმ იხეირა — ბარნსლელები მის თამაშგარეში დატოვებას ცდილობდნენ, მაგრამ შეწყობილად ვერ იმოქმედეს და კანინგემის პასით ერლისაც თავი გამოაჩენინეს. ეს მისთვის ამ სეზონში პირველი გოლი იყო. კიდევ სამ წუთში „ბარნსლიმ“ კვლავ ცენტრიდან განაახლა თამაში — ზაფხულში „ლუთონიდან“ გადასულმა კარლ ჰიუზმა ახალ კლუბში პირველად შეაგდო. სამი გოლის მერე შერეკილები დაწყნარდნენ და თინქლერმაც ხალხს თავი გაახსენა — 25 მეტრიდან საშინელი ძალით დაარტყა, თუმცა, ძელს ვერ ააცილა. სტუმრის „თავხედობამ“ მასპინძლები ალაშფოთა და ეკოკუმ „ბარნსლის“ პირველ პრემიერლიგურ სეზონში გაშვებული გოლების მესამე ათეულს მისცა დასაბამი.

**ლაშა გოდუაძე**

*ტურის დანარჩენი მატჩები წუხელ გაიმართა.*

# ნუ გამოცვლით ცუდ მწვრთნელს

ამიერიდან, თუ რომელიმე კლუბის პრეზიდენტი მწვრთნელის თანამდებობიდან დათხოვნას განიზრახავს, უნდა გაითვალისწინოს, რაც ბოლოხანს ჩატარებული სტატისტიკური ანალიზის თანახმად დადგინდა — მწვრთნელის შეცვლა უმეტეს შემთხვევაში აღმასვლის მომტანი არ ყოფილა.

ინგლისელი ეკონომისტებისა და გამოთვლითი მეცნიერებების ლექტორთა მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა 1972-1993 წლების პერიოდი მოიცვეს. მათ გააანალიზეს 42 624 საფეხბურთო მატჩი და მწვრთნელთა მოკლევადიანი მუშაობის 821 შემთხვევა. გამოკვლევის მიზანი იმის შესწავლა გახლდათ, თუ რამდენად დადებითად მოქმედებს ცუდი შედეგების მქონე გუნდზე მწვრთნელის შეცვლა. ავტორები თვლიან, რომ ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელთა შორის, ყველაზე თვალსაჩინოდ, რიცხვებით, ფეხბურთის გუნდის თავკაცის მუშაობის შეფასება შეიძლება.

„თუ ასეთი სხვა დარგი საერთოდ არსებობს, ალბათ სულ ერთი ან ორია. ფეხბურთში ერთი ადამიანი — მწვრთნელი — ყველაზე აშკარად და პირდაპირაა პასუხისმგებელი კოლექტიურ წარმატებაზე და ეს ყოველ კვირას, მეტიც, ყოველ დღე რიცხვებით გამოიხატება“ — წერდნენ მკვლევარები.

ნაშრომში მოყვანილია ფრიად საინტერესო ფაქტები. კერძოდ, თურმე მწვრთნელთა უმეტესობა თანამდებობიდან ოქტომბერში მოუხსნიათ, რაც იმით აიხსნება, რომ ამ თვეში სეზონის დასაწყისით უკმაყოფილო პრეზიდენტები დარჩენილი პერიოდის უკეთ გასავლელ გზებს ეძებენ. მეორე პიკი იანვარშია, როდესაც პრეზიდენტები თვლიან, რომ ახალი ხელმძღვანელის მოყვანა და ვითარების შეცვლა ჯერ კიდევ არ არის გვიან. არსებობს თურმე მესამე პიკიც — აპრილი, როდესაც საქმეს აღარაფერი ეშველება და გაბრაზებული პრეზიდენტები უნიათო მწვრთნელს უბრალოდ სამსახურიდან აგდებენ.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში, სადაც მწვრთნელები საგანგებო წნეხისა და ყურადღების ქვეშ არიან, მათ უფრო იშვიათად ხსნიან — საშუალოდ 126,9 თამაშის შემდეგ, ქვედა დივიზიონებში კი განმკითხავი არავინაა და იქაური მწვრთნელები საშუალოდ 84,5 თამაშში ხელმძღვანელობენ გუნდს.

ავტორთა აზრით, ფეხბურთის თავისებურება სხვა პროფესიებისგან განსხვავებით ისაა, რომ ამ დარგის ხელმძღვანელს შესაძლოა ადამიანთა ერთ ჯგუფთან არაფერი გამოუვიდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორე ჯგუფთანაც ცუდად იმუშავებს და შედეგს ვერ მიაღწევს. დადგინდა ისიც, რომ ხშირად მწვრთნელის თავიდან მოშორება მოთამაშეებზე წამახალისებლად მოქმედებს, მაგრამ ეს წახალისება მოედანზე ყოველთვის არ აისახება და შედეგები დიდად არ უმჯობესდება. საშუალოდ, 18 შეხვედრაში, მოგებათა მაჩვენებელი 0,42-მდე იზრდება და ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს, რადგან აქ გათვალისწინებული არ არის ერთი გარემოება: ბევრი წაგების მერე ნებისმიერი გუნდი ცოტათი აუმჯობესებს შედეგს — ხომ არ შეიძლება, ხალხის რაღაც ჯგუფი სულ მარცხდებოდეს.

ჩაატარეს ასეთი შედარებაც: განიხილეს ორი სუსტი გუნდი, რომელთაგან ერთმა მწვრთნელი მოხსნა, მეორემ კი არა. შეადარეს პირველის მიერ მწვრთნელის გამოცვლის შემდეგ ორივეს ჩატარებული 18-18 თამაში. გაირკვა, რომ მწვრთნელის ერთგული გუნდის მოგებათა მაჩვენებელი 0,49 იყო, ახალმწვრთნელიანისა კი, როგორც ზევით ვახსენეთ — 0,46.

ამ შედეგების მიღების შემდეგ ანალიტიკოსებმა დაასკვნეს, სუსტი გუნდისთვის მწვრთნელის გამოცვლა ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ძველ მწვრთნელთან მუშაობის გაგრძელება.

# ამასობაში ბრაზილიაში

ბრაზილიის სამმა წამყვანმა კლუბმა გასულ შაბათ-კვირას მწვრთნელები დაითხოვა. ამრიგად, სამი თვის წინ დაწყებულმა ჩემპიონატმა უკვე 18 ბრაზილიელი მწვრთნელი იმსხვერპლა.

სებასტიანო როჩა, ექვსი კვირის წინ „ფლამენგომ“ რომ გაუშვა, ახლა „ბოტაფოგომაც“ გააგდო, „ფლუმინენსემ“ კარბონეს დაატოვებინა თანამდებობა, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეყნის ნაკრების თავკაცს, სებასტიანო ლაზარონის კი „პარანამ“ მიუთითა კარისკენ.

როჩა და კარბონე რიო დე ჟანეიროული ტრადიციის თანახმად, საშინაო წაგებებს „შეეწირნენ“, ლაზარონის კი, „ვასკუ და გამასთან“ 1:4 რომ დამარცხდა, ცხრა მოუგებელი შეხვედრა დაუგროვდა და ამიტომ დაიფრინეს.

— ვუთხარი, ცვლილებების დროა-მეთქი და მანაც გამიგო — თქვა ლაზარონიზე „პარანას“ პრეზიდენტმა ერნანი პუჩმენმა.

1990 წელს იტალიის მსოფლიოს პირველობაზე წარუმატებლობას ლაზარონის თანამემამულეები დღესაც ეროვნულ კატასტროფად მიიჩნევენ. მაშინ ბრაზილია არგენტინამ გამოთიშა შეჯიბრებიდან, თან ისე, რომ გუნდმა ოთხ შეხვედრაში სულ ოთხი გოლი გაიტანა. მას მერე ლაზარონი უპირატესად საზღვარგარეთ მუშაობდა, შინ დაბრუნებული კი აგერ უკვე მესამე გუნდმა გაანთავისუფლა.

ბრაზილიაში მწვრთნელთა ხშირ მოხსნას ირონიით მწვრთნელთა ცეკვას უწოდებენ, რამეთუ მათ არა მარტო ხსნიან, არამედ ერთ-ორ დღეში სხვა კლუბში ნიშნავენ კიდეც. „ბოტაფოგომ“, „ფლუმინენსემ“, „უნიაუ სან ჟუანმა“ და „ჟოიაშმა“ ივნისის მერე უკვე ორ-ორი ხელმძღვანელის გამოცვლა მოასწრეს. მწვრთნელები ჩივიან, რომ მათ საქმეში გარკვევისა და რაიმეს შესაცვლელ დროს არ აძლევენ.

— გნიშნავენ აუტსაიდერის მწვრთნელად და ოთხ-ხუთ თამაშში მის შუაში გადაყვანას გთხოვენ, რაც ჯადოსნობის ტოლფასია — დაიჩივლა „პალმეირასის“ თავკაცმა ლუიშ ფილიპე სკოლარიმ.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიელი მწვრთნელები ერთმანეთს იშვიათად ესაუბრებიან, რაიმე პროფკავშირის შექმნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

„ბოტაფოგომ“ ახალ მწვრთნელად 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის კაპიტანი კარლოს ალბერტო დანიშნა, „პარანაში“ კი ახლა კლაუდიუ დუარტე იმუშავებს.

# სამართლიანია სამართალი?

„ანდერლეხტის“ ამბავმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ბუნებრივიცაა — ბელგიური კლუბი ხომ ცამეტი წლის წინანდელი დანაშაულისთვის დასაჯეს, რაც ფრიად უჩვეულოა. საგულისხმოა ისიც, რომ კლუბის თავკაცები სასჯელს არ ელოდნენ, რადგან უეფადან გამოსული თავდაპირველი ხმების თანახმად, ათი და მეტი წლის სიძველის დანაშაულები საზღაურის გარეშე უნდა ჩაბარებულიყო ისტორიას, მაგრამ ჰელსინკში გამართულმა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ სხვაგვარად განსაჯა. ევროპული ფეხბურთის თავკაცებმა მიიჩნიეს, რომ ეთიკური და ზნეობრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე ბელგიელები სასჯელს იმსახურებდნენ და დაადგინეს, რომ ამიერიდან, პირველსავე სეზონში, როდესაც „ანდერლეხტი“ ევროთასებზე გამსვლელ ადგილს მოიპოვებს, მათში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმევა. ამგვარი, საგანგებო ვერდიქტის გამოტანის უფლებას უეფას მისი 28-ე კანონი აძლევდა.

თავად დანაშაულზე ადრეც გვითქვამს: 1984 წელს, უეფას თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში „ანდერლეხტს“ მოქრთამული ჰყავდა აწ გარდაცვლილი ესპანელი არბიტრი გურუსეტა მურო, რომელმაც ბელგიელებს პენალტი აჩუქა, მის მეტოქეს, ინგლისურ „ნოტინგემ ფორესტს“ კი წესების დაცვით გატანილი გოლი გაუუქმა. მუროს ამ საქმეში 27 ათასი დოლარი ჰქონდა აღებული. ახლა, იმავე გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩის ამბავსაც იძიებენ. გაჩნდა ეჭვი, რომ ბრიუსელის გუნდს ჩეხურ „ბანიკთანაც“ (2:0, 2:2) ნაყიდი ჰყავდა არბიტრი. ასეთი ეჭვების შემდეგ ალარავის უკვირს 1983 წლის თამაშების ჩხრეკა. ეს ის წელიწადია, როდესაც „ანდერლეხტმა“ უეფას თასი მოიპოვა.

მომხდარი ამბების კომენტარისთვის, ბუნებრივია, ჟურნალისტებმა მყისვე მიაკითხეს ბელგიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ოფისს. ქვეყნის 24-გზის ჩემპიონის, 1983 წლის უეფასა და 1976 და 1978 წლების თასების თასის მფლობელის გენერალური მენეჯერის მოადგილემ, რობერტ დე პოტმა ბევრი ვერაფერი თქვა. მან ისიც კი არ იცოდა, მართებს თუ არა „ანდერლეხტს“ უეფას განაჩენის გაპროტესტება. დე პოტმა განაცხადა, ჯერ უეფამ საბოლოო და ოფიციალური განაჩენი გამოგვიგზავნოს და ყველაფერს მერე გადავწყვეტთო.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟან პეეტერსმა ვერდიქტი გაიოცა. იგი თვლის, რომ უეფამ საკუთარი პრინციპი დაარღვია და ვადაგასული დანაშაული დასაჯა, მაგრამ ისიც დასძინა, „ანდერლეხტმა“ განაჩენი არ უნდა გააპროტესტოს, რათა საქმე თავიდან საჩხრეკი არ გახდესო. ფედერაციის პრეზიდენტმა მიშელ დ ჰუდგერმა კი განაცხადა, „ანდერლეხტის“ თავკაცებმა უკანონობა ჩაიდინეს, რისთვისაც ახლა კლუბი სამართლიანად ისჯებაო.

ბელგიურმა პრესამ აშკარად დაიჭირა სიმართლის მხარი. „ლაატსტე რეუსი“ წერდა: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, სამართალი უნდა აღსრულდეს“.

„ჰეტ ნეუსბლანდი“: „უეფას დადგენილება ხიფათს შეიცავს, მაგრამ იმის გრძნობა, რომ სამართალმა იზეიმა, ამ ხიფათს სჯაბნის“.

„ანდერლეხტს“ შესაძლოა სხვა მხრივაც გაურთულდეს საქმე. კერძოდ, მთავარმა სპონსორმა, ქვეყნის უდიდესმა ბანკმა „ჟენერალმა“ განაცხადა, რომ მომხდარით ერთობ შეძრულია და უფლებას იტოვებს კლუბთან ხელშეკრულება გაწყვიტოს.

ლა მანშის არხის გადაღმა, ნოტინგემში, უეფას დადგენილებამ აღშფოთება გამოიწვია. „ნოტინგემ ფორესტის“ ოფისში გაცილებით უფრო სასტიკ სასჯელს ელოდნენ. კლუბის პრეს-ატაშემ ლარი ლოიდმა განაცხადა:

— ჩვენი აზრით, „ანდერლეხტმა“ უგულებელჰყო ყველა ზნეობრივი და ეთიკური ნორმა, რომელსაც ფეხბურთი ეფუძნება. „ნოტინგემ ფორესტი“ დარწმუნებულია, რომ უეფას გაცილებით სერიოზული ვერდიქტის გამოტანა მართებს.

გასულ კვირაში ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბმა განაცხადა, რომ მისი ყოფილი ფეხბურთელები, ისინი, რომლებიც 1984 წელს უეფას თასის ნახევარფინალში ასპარეზობდნენ, მორალური კომპენსაციისთვის 1,5 მილიონ გირვანქას ითხოვენ, რაც 2,4 მილიონი დოლარის ტოლფასია.

— იმ თამაშის მონაწილე ფეხბურთელთა უმეტესობა შეუერთდა კლუბის მოთხოვნას სასჯელის გამკაცრების თაობაზე — დასძინა ლოიდმა.

დღეს ბელგიის ჩემპიონატში „ანდერლეხტი“ მე-11 ადგილზეა, უეფას თასის გათამაშებაში კი „ზალცბურგთან“ პირველი შეხვედრა 3:4 აქვს წაგებული. კლუბის ქომაგებიც ნერვებს არიან აყოლილნი. ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ შიდა პირველობის ბოლო მატჩი „მუსკრონთან“, რომელიც ბრიუსელის გუნდმა 1:2 წააგო და რომლის მსვლელობის დროსაც გულშემატკივრები მოედანზე გადახტნენ. ისინი მწვრთნელის, რენე ვანდერეიკენის თანამდებობიდან დათხოვნას მოითხოვდნენ.

უეფას მიერ დასჯილ გუნდს ბელგიის ყველაზე ცნობილი ადვოკატი ლუკ მისონი გამოექომაგა. მისონი ის კაცი გახლავთ, ვინც ევროსასამართლოში ცნობილ ჟან-მარკ ბოსმანის ინტერესებს იცავდა.

— სანქცია ბოლო 48 საათის ამბავია, მაგრამ ახლავე შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს — თქვა მან — უეფამ საკუთარ კანონებს გადაუხვია და ახლა ყველაფერი „ანდერლეხტზეა“ დამოკიდებული. მას შეუძლია იჩივლოს.

მოგვიანებით ხმა ამოიღო „ანდერლეხტის“ ვექილმა ლუკ დელუმაც — მისი აზრით, კლუბი შეუძლებელია კორუფციისთვის დაისაჯოს და თუ უეფა აპელაციის ნებას არ დართავს, ისინი სხვა გზას გამონახავენ. ცხადია, ადვოკატი სამოქალაქო სასამართლოს გულისხმობდა.

და ისევ მისონი — „ანდერლეხტი“ არც კი დაასწრეს იმ თათბირს, რომელზეც განაჩენი გამოიტანეს. მას თავის გამართლების და ვითარების ახსნის საშუალებაც არ მისცეს. უეცარი გადაწყვეტილების მიღებ უეფას ხალხის რეაქციის იმედი აქვს და ზეწოლას ამით ახდენს.

**პაპუნა ქადია**

# ნადირობაში ჩემპიონატი რომ იმართებოდეს...



იმას ნამდვილად ვერავინ დაიჩემებს, ქართული კრივი ოდესმე მსოფლიოში მოწინავეთა შორის იყოო, მაგრამ ჩვენი მოკრივენი ევროპულ და, ბოლოხანს, მსოფლიოს რინგზეც რომ ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებიან, ამის უარყოფაც არ ეგების. ქართველი შესწვდა ევროპის ჩემპიონის ოქროს — დავით კვაჭაძე, გიორგი კანდელაკი და რამაზ ფალიანი, ოქროსი არა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადის მედლებიც მოუგიათ ჩვენებურებს. წარმატებები, როგორც იტყვიან, სახეზეა და ისიც ნათელია, რომ თუ კრივს კუთვნილ ადგილს მივუჩენთ ქართულ სპორტში და მის წარმომადგენლებს შევუწყობთ ხელს, ბიჭები მალე უდიდეს შეჯიბრებებს მოიგებენ. ქართველ ქომაგთა ამ ოცნების ასრულება კი ყველაზე მეტად გიორგი კანდელაკსა და კობა გოგოლაძეს ძალუძთ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, მათ გვერდით რამაზ გაზაშვილიც მოვიხსენიოთ. თუ გოგოლაძესა და კანდელაკს დღესაც შეუძლიათ გახდნენ დიდი ჩემპიონები, რამაზ გაზაშვილის ნიჭი და ტალანტი ამას სახვალიოდ გვპირდება. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რამაზმა უახლოეს ჩემპიონატებზე ისახელოს თავი — ასაკის კვალობაზე გამოცდილება არ აკლია, ჟინიც მოსჭარბებია, ნიჭსა და ტალანტზე კი უკვე მოგახსენეთ. ერთიც — დღემდე გორელები კრივსა და გიორგი კანდელაკს ერთად მოიხსენიებდნენ, სინონიმებად მიაჩნდათ ეს სიტყვები. ახლა კი რამაზ გაზაშვილსაც არ ივიწყებენ. ეს, ვფიქრობ, უკვე დიდი საქმეა.

რამაზ გაზაშვილი ჩუმი, თავმდაბალი და უპრეტენზიო ახალგაზრდაა. ეს თვისებები კი, ასე ვთქვათ, ძალისმიერ სპორტსმენებს სჩვევიათ. რამაზიც ხომ მოკრივეა, თანაც, ასაკის კვალობაზე, საკმაოდ ტიტულოვანი. ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, მოკლედ, ლაკონურად ამბობს სათქმელს, არც პრესა-ტელევიზიასთან ურთიერთობით არის განებივრებული. დღემდე რამაზის გვარი ქართულ სპორტულ პრესაში აქა-იქ, სატურნირო ანგარიშებში თუ იხსენიებოდა, როცა იგი რამეს მოიგებდა. „ეს ჩემი პირველი ინტერვიუა და წინასწარ ბოდიშს გიხდი, თუ ცოტა დაბნეული ვარ" — მითხრა საუბრის დაწყებამდე. დაბნეულობამ მალე გაუარა და ჩვენი საუბარიც შედგა:

**— რამაზ, რადგან ეს შენი პირველი ინტერვიუა, მოდი, თავიდან დავიწყოთ. როგორც მოხვედი კრივში?**

— 10 წლისა ვიყავი, როცა მამაჩემმა მიმიყვანა ცნობილ მწვრთნელ გიორგი კარელიძესთან. მეც მინდოდა და მამაც მოწადინებული იყო, რომ მოკრივე გავმხდარიყავი. ცოტა ხანს ვივარჯიშე და იმავე წელს ახალციხეში 38 კილოგრამში მაშინდელი საკავშირო ტურნირი მოვიგე. შემდეგ უკრაინაში, ქალაქ ბროვარში გავიმარჯვე უფრო მაღალ დონის ტურნირში. ჩემი დებიუტი იღბლიანი გამოდგა და მას შემდეგ მუშტების ქნევა აღარ შემიწყვეტია. მინდა, დიდი მოკრივე გავხდე.

**— ამ ორი ტურნირის გარდა სხვაგან სად გაგიმარჯვია?**

— ბევრი ასპარეზობა მოვიგე. ხუთჯერ ზედიზედ საქართველოს ჩემპიონი გავხდი. 42 კილოდან დავიწყე და 48 კილომდე ავედი — სხვადასხვა წონასა და ასაკში ვიყავი ჩემპიონი. შარშან კი 51 კილოში უფროსთა ჩემპიონატი მოვიგე. ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა, რა თქმა უნდა, ბირმინგემში, ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონტზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი და საგაისო ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიაა, რომელიც ფინეთის საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვებით მოვიპოვე.

**— გამიგია, გაზაშვილი ბირმინგემში მსაჯებმა დაჩაგრეს, თორემ ჩემპიონი ხდებოდაო.**

— არ ვწუწუნებ, მაგრამ მართლა ასე იყო. ნახევარფინალში შაიდურინს შევხვდი. თანაბარი ბრძოლა იყო, 5:6 წავაგე. კი, მსაჯები სუბიექტურნი იყვნენ და წამაგებინეს. გულს იმით ვიმშვიდებ, რომ შაიდურინმა ამ ჩემპიონატში 4 ბრძოლიდან 3 ნოკაუტით მოიგო, მარტო ჩემთან გაუხდა სამათხოვროდ საქმე.

**— ფინეთიდან რომ დაბრუნდი, აეროპორტში საფუძვლიანად ვერ ვისაუბრეთ. იქნებ კიდევ ერთხელ გაიხსენო იქაური ამბები?**

— ტამპერეში ინგლისელი და ესპანელი ბიჭები მაგრად ვცემე. მანამდე, პირველი ბრძოლა გამიჭირდა იტალიელ მოკრივესთან, ორივე მაგრად დავილალეთ, მაგრამ მაინც მოვუგე — 8:6. ფინალში კი სომეხ არამ რამაზიანს შევხვდი. რამაზისა და რამაზიანის ბრძოლა 11:2 დასრულდა რამაზის სასარგებლოდ.

**— ამდენი გიჩხუბია, შენს ყველაზე მძიმე ბრძოლად რომელს მიიჩნევ?**

— წელს ირანის საერთაშორისო ტურნირზე უზბეკ მოკრივეს შევხვდი. სულ დამასისხლიანა რინგზე, ძლიერი ბიჭი იყო. გორში თვალებდასიებული ჩამოვედი, მაგრამ მაინც 4 ქულით მოვუგე.

**— ბოლოხანს გიორგი კანდელაკის კლუბ „ჩემპიონში" ვარჯიშობ. როგორ შეეგუე კანდელაკის მწვრთნელობას?**

— გიორგი ჩემი უფროსი მეგობარია, დიდი სპორტსმენია და მიხარია მის გვერდით ყოფნა. მით უმეტეს, ახლახან იგი ნაკრებს დაუბრუნდა, ერთი მიზნები და გეგმები გვაქვს კლუბშიც და ნაკრებშიც და ლამის უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. გიორგიმ სრულფასოვნად მოსამზადებლად ყველა პირობა შეგვიქმნა, თუკი რამ შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. ამასთან, შესანიშნავი მწვრთნელიც არის. ადვილია მასთან მუშაობა.

**— მალე უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატი გელის. ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში არ გიასპარეზია. არ გეშინია?**

— რინგზე არავისი მეშინია, რაც უნდა გამოცდილი და ტიტულოვანი მეტოქე იყოს. რა უნდა მიქნას ჩემზე ძლიერმა და გამოცდილმა — ჰა, ჰა, მომიგოს. ირანში რომ დამემართა, იმაზე უარესს ხომ არ მიზამს? ოღონდ წავიდე მსოფლიოზე და თავს ნამდვილად არ შევირცხვენ.

**— ჩემპიონატისთვის როგორ ემზადები?**

— ახლა ვარიანში "ჩემპიონში" ვართ შეკრებაზე. დღე და ღამეს ვასწორებ, მინდა, პირველსავე დიდ ჩემპიონატში, სადაც გამოვალ, წარმატებას მივაღწიო.

**— ახალგაზრდა მოკრივეთა ასაკი წელს გაასრულე და უკვე უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მიდიხარ. სხვათა შორის, კანდელაკიც ასე იყო: 19 წლისა შესრულდა და იმავე წელს ევროპის ჩემპიონი გახდა.**

— მივიხვდი. იქნებ მეც გამიმართლოს არა? ვნახოთ, ჩემი ოცნებაც ხომ ეგ არის, რომ გიორგის მიღწევები გავაუმჯობესო.

**— გამორჩეულად რომელი მოკრივე გიყვარს?**

— მაიკ ტაისონი. უდიდესი მოკრივეა, მაგრამ ბოლოს ჰოლიფილდთან ჩხუბში თავი შეირცხვინა. არავაჟკაცური საქციელი კი ჩაიდინა, მაგრამ რაც არის, იმას ნუ დავუკარგავთ — უდიდესია.

**— ვიცი, მთელი გორი შენი ქომაგია მაინც, გამორჩეულად ვინ გგულშემატკივრობს?**

— რა თქმა უნდა, ოჯახის წევრები. ყოველთვის გულისფანცქალით ელიან ცნობას იმ ტურნირიდან თუ ჩემპიონატიდან, სადაც მე ვჩხუბობ. კრივი მაინც კაცების საქმეა და, რა თქმა უნდა, ჩემი ყველაზე დიდი ქომაგი მამაჩემია. მისმა და ჩემმა მეგობრებმა კი ჩემი ბრძოლების ისტორია, ლამის ჩემზე უკეთ იციან, ყოველთვის მხარში მიდგას ეს ხალხი — ვაჟა ცაციაშვილი, ვანო დარჩოშვილი, გიორგი კურმაშვილი და ზურაბ მამისთვალოვი.

**— გორში სახელი დაიგდე. ალბათ თაყვანისმცემლები გოგონებშიც გაიჩინე. დაოჯახებას არ აპირებ?**

— არა, ჯერ არ ვაპირებ. ჯერ კრივში მაქვს საქმე საკეთებელი, იმ საქმეს მოვილევ და მერე შევირთავ ცოლს.

**— წეღან მითხარი, დღეს და ღამეს ვასწორებ ვარჯიშშიო. ისე, თავისუფალ დროს თუ მოიხელთებ, რას აკეთებ?**

— ძალიან ცოტა მაქვს თავისუფალი დრო, მაგრამ გამოვძებნი თუ არა, თოფს მოვკიდებხოლმე ხელს და სანადიროდ გავრბივარ. ყველაფერზე ვნადირობ, რაც ნებადართულია. მიყვარს ტყეში ხეტიალი. ეგეც არ იყოს, ესეც თავისებური ვარჯიშია.

— ნადირობაში ჩემპიონატები რომ იმართებოდეს, იქაც ჩემპიონი იქნებაო, ჩაიცინა ბატონმა თემურმა — რამაზის მამამ. მართალია, ეს კაცი — რამაზი სპორტსმენია და სპორტული ჟინი და ხასიათი ითხოვს კაცისგან მუდამ და ყველგან პირველობას. ახლა კი დავეთხოვოთ რამაზ გაზაშვილს, ვარჯიში და სამსოფლიოსჩემპიონატოდ ხეირიანი მომზადება ვაცალოთ. ღმერთმა ქნას, ხელხვავიანად დაბრუნებულიყოს იქიდან და მერე ამ საუბარის გაგრძელებას, აბა, წინ რა დაუდგება.

**ლევან ჯაჯახიშვილი**

---

**ბოლოხანს კრივის ფედერაციაში მისულს არაერთი ახალი და, რაც მთავარია, სასიხარულო ამბავი დამხვდა. გუშინაც არა თუ [illegible] ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ ფალიანმა ოთახში შესვლისთანავე მკითხა, ახოვან ახალგაზრდაზე მიმითითა — ამ კაცს თუ იცნობთო. სიმართლე გითხრათ, ეს მხრებში გაშლილი ბიჭი მეცნო, მაგრამ ვერ გავიხსენე [illegible] ვინ იყო. ზურაბ ფალიანი შემეშველა — კახა ბარავი, არ გახსოვს, ჩვენი თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი და პერსპექტიული მოკრივე? ახლახან დაბრუნდა რუსეთიდან და აწი საქართველოს სახელით გამოვა.**

# კახაც მოსულა...

მკითხველსაც რომ შევახსენოთ კახა ბარავი, მის საკრივო წარმატებებზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვით. კახამ 1990 წელს ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატები მოიგო, 1989 წელს თანატოლებში მეორე იყო, 1991 წელს კი საბჭოთა კავშირის უფროსთა ჩემპიონატზე იმარჯვა. სხვათ აშორის, იგი ბოლო ჩვენებური მოკრივე იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო. რაც მოგახსენეთ, ყველაფერი ბარავიმ საქართველოს სახელით მოიგო. ქვეყანა რომ აირია, კახამ დროებით დატოვა საქართველო და რუსეთს მიაშურა, იქაურ მოკრივეთა ნაკრების წევრი იყო, ერთხანს თურქეთშიც ასპარეზობდა, ბოლოს კი იაროსლავლში ცხოვრობდა და იქ ცნობილ რუს მწვრთნელ სერგეი ჩიკანოვთან ვარჯიშობდა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, საქართველოდან წასვლის შემდეგ ბარავის მუშტების ქნევა და ვარჯიში არ შეუწყვეტია. დიდი კრივისთვის, რომ იტყვიან, მზა მოკრივე დაგვიბრუნდა. თუ კახას ხელშეწყობა, ნორმალური სავარჯიშო პირობები ექნება და ტურნირებზეც გაუშვებენ საასპარეზოდ, უეჭველია, ეს ბიჭი არაერთხელ ასახელებს საქართველოს. ზურაბ ფალიანმაც ეს მითხრა: ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაზე კახასგან მედლის მოგების იმედი გვექნება, გამოცდილება არ აკლია, კრივი თავდავიწყებით უყვარს და მისებრ ტექნიკურ მოკრივეს იშვიათად თუ შევხვდებიო.

კახა ბარავი ახლა მწვრთნელისა და სპარინგ-პარტნიორის ძებნაშია, პირად პრობლემებსაც მოაგვარებს და მალე ჩვენს ნაკრებს ერთი საიმედო მოკრივე შეემატება.

როცა კახამ დაგვტოვა, ზურაბ ფალიანს კარსმომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩამოვუგდე სიტყვა. ფედერაცია, რასაც გასწვდა, ის გააკეთა — სამი მოკრივე ფედერაციის ხარჯით გაემგზავრება უნგრეთს, საკუთარი სახსრებით ან სპონსორების შემწეობით კი ვისაც სურს წასვლა, გზა ხსნილი აქვს. ეს სამეული ასეთია: რამაზ გაზაშვილი, კობა გოგოლაძე და გიორგი კანდელაკი. გუნდს საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ზურაბ გუნია უთავკაცებს. ახლა ბიჭები შეკრებაზე არიან — მათ გიორგი კანდელაკი სოფელ ვარიანში მასპინძლობს. 2 ოქტომბერს პოდოლსკში გაემგზავრებიან და 15 ოქტომბრამდე რუსეთის ნაკრებთან ერთად გაივლიან წვრთნას. ხეირიან სპარინგ-პარტნიორებსა და ნორმალურ პირობებს დანატრებული ჩვენი მოკრივეებისთვის მისწრება იქნება რუსულ-ქართული შეკრება.

ამასობაში ერთი ქართველი მოკრივე — ლაშა იოსელიანი საბერძნეთს წასულა იქაურ საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ. მართალია, ეს ტურნირი არც ევროპისა და არც მსოფლიოს ჩემპიონატების ლიცენზიას არ იძლევა, მაგრამ მეტად პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება.

ბოლოს კი ერთი უსიამოვნო ამბავიც შევიტყვე: სევასტოპოლში წასული ბესიკ ვარძელაშვილი და ილია ტლაშაძე ხელცარიელნი დაგვიბრუნდნენ. იქ საგაისო ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიების მოსაპოვებლად ჩავიდნენ, ბესიკმაც და ილიამაც ორ-ორ ბრძოლაში იმარჯვეს, მაგრამ მესამე შეხვედრა, რომლის მოგებაც ბიჭებს ჩემპიონტის საგზურებს აძლევდა, ორივემ დათმო.

კარგა ხანს მიყუჩებული ქართული კრივის სამყარო კვლავ ახმაურდა. რაც მთავარია, ყინულის დაძვრას წამარტება და გამარჯვება მეტი მოჰყვა, ვიდრე მარცხი.

**ლევან ჯაჯახიშვილი**

---

ჭიდაობა

# აღარც ფული, აღარც ტიტული

კრასნოიარსკის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, როგორც იცით, დათო პოღოსიანს არ უჭიდავია, არადა, ეს ნიჭიერი გორელი ფალავანი რუსეთს ოქროს მედლის მოსაგებად წავიდა. გეხსომებათ, დათოს მძიმე ტრავმამ შეუშალა ხელი მიზნის მიღწევაში. ტრავმა კი იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, დათოს სულ აურია გეგმები. როგორც ბოლო ხანს ჩვენებურ ფალავანთა უმეტესობამ, პოღოსიანმაც გადაწყვიტა, უცხოურ კლუბში ეცადა ბედი, მიაგნო კიდეც სასურველ ვარიანტს — რუსეთიდან კლუბ მოსკოვის „დინამოს" თავკაცები შეეხმიანენ, საერთოც მალე გამონახეს, ინტერესებიც შეაჯერეს და დათო პოღოსიანი მოსკოვის „დინამოს" წევრი გახდა. უახლოეს საკლუბო ტურნირზე პოღოსიანს სექტემბრის შუა რიცხვებში უნდა ესპარეზა მახაჩყალაში, სადაც საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდი იყო დაწესებული. სამწუხაროდ, ტრავმამ არ გაუშვა დათო ტიტულისა და ფულის საშოვნელად.

ახლა, მოდით, ცოტა ძველიც გავიხსენოთ. კრასნოიარსკის მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა უიღბლობით დაკარგულ ოქროს მედლებზე. ელდარ კურტანიძის ამბავი, ასე თუ ისე, გარკვეული იყო, ბევრს დათოსი ვერ გაეგო და ზოგმა დღესაც არ იცის — ჩემპიონატამდე მიიღო პოღოსიანმა ტრავმა თუ კრასნოიარსკში, ჩემპიონატის მსვლელობისას. ეს ასე იყო: გორში ერთ-ერთი ვარჯიშისას სპარინგ-პარტნიორს ეჭიდავებოდა, ილეთი მოამზადა, მოძრაობაც დაიწყო, მაგრამ სველ ლეიბზე ფეხი დაუცდა და, რომ იტყვიან, ლეიბზევე დარჩა — გაუსაძლისმა ტკივილმა განძრევის საშუალება არ მისცა, არადა, დათოს პირადი მწვრთნელის ნუგზარ სხირელის თქმით, ეს ტრავმა რომ არა, მის შეგირდს წინ არაფერი დაუდგებოდა, ისეთ ფორმაში იყო. დათოც ამას ამბობს, არც ევროპის ჩემპიონატზე სადაც პირველი ვიყავი, არც ერთ წლევანდელ ტურნირზე ასეთ საუცხოო ფორმაში არ ვყოფილვარო.

კრასნოიარსკამდე, ასე თუ ისე, მოირჩინა ტრავმა, ვარჯიშიც დაიწყო, მაგრამ რუსეთში, ერთ-ერთ ვარჯიშზე კვლავ შეახსენა ტკივილმა თავი. რუსი, კანადელი და ფრანგი ექიმები დაახვიეს ნაკრების ხელმძღვანელებმა, მაგრამ უცხოელმა დასტაქრებმა სანუგეშო ვერაფერი უთხრეს ჩვენებს. ეგ იყო, ქართველ კოლეგათა დიაგნოზი დაადასტურეს: პაციენტს საზარდულის კუნთი აქვს დაჭიმული და ამის ჭიდაობა კი არა, მცირე დატვირთვაც არ შეიძლებაო. რა უნდა ექნათ ან დათოს, ან ნაკრების მწვრთნელებს — გამოეთხოვნენ ერთ-ერთ ყველაზე რეალურ ოქროს მედალს.

ამ წლის დასაწყისმა დათო პოღოსიანს ევროპის ჩემპიონობა და ორი დიდი ტურნირის ოქროს მედლები, დიდება და პატივი მოუტანა, წლის მეორე ნახევარმა — ტრავმა და იმედგაცრუება. დათოს ახლანდელი ოცნება ვახტანგ ბალავაძის საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობაა, რომელიც ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყება, თუმცა, საეჭვოა, რომ მანამდე, თუნდაც ტკივილი დაუამდეს, ფორმის აღდგენა მოასწროს. მით უმეტეს, მისი მკურნალობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა დასვენებაა.

წლის მეორე ნახევარში ხელმოცარული დათო პოღოსიანი უიმედო არ მეჩვენა. გული არ გასტეხია — რაც მოხდა, მოხდა, აბა, რაღას ვუშველი, მომავალზეც ხომ უნდა ვიფიქროო. სამომავლოდ კი მართლაც დიდი მიზანი აქვს: ევროპის ჩემპიონობაზე არაფერს ვამბობ, თუ პარიზში ჩვენი ძიუდოისტები მსოფლიოს ჩემპიონობას დამასწრებენ, ხომ კარგი, თუ არადა, მსოფლიოს ჩემპიონის იმ ოქროს მედალს, რომელსაც ექვსი წელია, საქართველო არ ღირსებია, გაისად მე ჩამოვიტან მსოფლიოს ჩემპიონატიდანო — მითხრა ბოლოს.

**ლევან ჯაჯახიშვილი**

---

**მძიმე დღეები უდგათ საქართველოში სპორტის ფედერაციებს. მიზეზი ძველი და პროზაულია: არ არის ფული — ფედერაციებს სპორტის დეპარტამენტი ვერ უფარავს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე საასპარეზო ხარჯებს, რადგანაც თავად დეპარტამენტს სახელმწიფოსგან ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა არ მიუღია.**

# უპატარძლო ქორწილი

სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალური მდივნის გივი ბოსტოღანაშვილის თქმით, აგერ უკვე მეხუთედ გადაიდო საქართველოს ჩემპიონატი ტყვიით სროლაში, რადგან ფედერაციას საამისო სახსრები არ გააჩნია. საწყალოსნო სახეობების ფედერაციაში შემოგვჩივლეს, იმის გამო, რომ დაფინანსება საკმაო არ არის, გაზის საფასურს ვერ ვიხდით, ამიტომაც წყალს ვერ ვათბობთ, უწყლოდ კი საწყალოსნო სპორტი უპატარძლო ქორწილის დარიაო...

ბადმინტონისტებსა და სამთო მოთხილამურეებსაც უფულობა აწუხებთ, თუმცა მოთხილამურეებს როგორღაც თავი მოუბამთ და საასპარეზოდ და სავარჯიშოდ ავსტრია-იტალიას მისდებიან.

სოფიკო ახმეტელი, ზურაბ ჯიჯიშვილი, ლევან აბრამიშვილი ამ ქვეყნების სათხილამურო კურორტებზე ევროპისა და მსოფლიო თასის ეტაპობრივ შეჯიბრებებში მონაწილეობენ და ნაგანოს ოლიმპიადის ლიცენზიების დაბევებას ცდილობენ. ლიცენზიის მოსაპოვებლად, ფედერაციას, როგორც მისმა ვიცე-პრეზიდენტმა ფერბენქს ნავერიანმა გვითხრა, ალპებში სნოუბორდისტი პავლე ბურდული მიუვლენია, რომელსაც იაპონიაში მოხვედრის კარგი შანსი აქვს. კახაბერ წაქაძე ინდივიდუალური გეგმით ვარჯიშობს ტრამპლინიდან ხტომაში და უკვე მოუსწრია ამერიკის, პოლონეთის, იტალიის სპორტული ბაზების დაჭაშნიკება.

**ერეკლე ძიძილაშვილი**

---

ფარიკაობა

# კაპიკები და მილიონები

სადღეისოდ ყველა სპორტული ფედერაცია რომ უსახსრობას უჩივის, ეს უკვე ძველი ამბავია. ამ მხრივ არც ფარიკაობის ფედერაციაა გამონაკლისი. ბოლო, ერთობ მძიმე პერიოდის შემდეგ მხოლოდ წელს მოხერხდა იმ მინიმალური სახსრების გამოყოფა, რომლის საშუალებითაც მოფარიკავეებმა ოდნავ ამოისუნთქეს. თუმცა, თანხა იმდენად მცირე იყო, სალაპარაკოდაც არ ღირს, არადა, სხვა ქვეყნებში ამ სახეობისთვის ფულს არ იშურებენ. მაგალითად, პოლონეთში ბიუჯეტიდან ფარიკაობას წელს 1 200 000 დოლარი ერგო, საბერძნეთში — 600 000, ისრაელში — 400 000. წარმოიდგინეთ, რა თანხები ექნებათ იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის ფარიკაობის ფედერაციებს.

ცხადია, ჩვენი სპორტსმენების წარმატება ყველას გვახარებს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ გამარჯვებისთვის შრომის გარდა პირობებია საჭირო. ჩვენს სპორტსმენებს კი, რა ხანია, ელემენტარული ხელშემწყობი გარემოც კი ფუფუნებად ექცათ. მართალია, სპორტის დეპარტამენტმა მოფარიკავეთა დარბაზი შეაკეთა, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია... მონდომებული ბავშვები კი მრავლად არიან. მერე ისინიც წამოიზრდებიან, მობეზრდებათ უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა და...

ხუთმა ჩვენიანმა იასპარეზა კეიპტაუნში, მსოფლიოს ჩემპიონატზე: ხათუნა ჭუმბურიძემ, არჩილ ლორთქიფანიძემ, ირაკლი ღლონტმა, ჯემალ მამიაშვილმა და თამაზ ჭინჭარაულმა. პირობების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, მათი გამოსვლა დამაკმაყოფილებლადაც ჩაითვლება. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ღლონტმა ყაზახ მსოფლიოს ჩემპიონს მოუგო, გერმანელ მსოფლიოს ჩემპიონთან კი დამარცხდა.

**ნაზი მაისაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. VIII ტური

26 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — შალკე | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჰერტა — კიოლნი | 2,0 | 2,8 | 2,9 |

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — შტუტგარტი | 2,9 | 2,8 | 2,0 |
| კაიზერსლაუტერნი — ვერდერი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| დორტმუნდი — მიუნხენი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ლევერკუზენი — ჰანზა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ჰამბურგი — ბოხუმი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| მიონხენგლადბახი — კარლსრუე | 1,6 | 3,0 | 4,2 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დუისბურგი — არმინია | 1,6 | 3,0 | 4,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. VIII ტური

26 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიურნბერგი — უნტერჰახინგი | 3,0 | 2,9 | 1,9 |
| დიუსელდორფი — ცვიკაუ | 1,5 | 3,1 | 4,7 |

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფორტუნა — გიუტერსლო | 1,6 | 3,0 | 4,2 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიკერსი — ზანქტ პაული | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ვატენშაიდი — მაინცი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| კარლ ცაისი — აინტრახტი | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| ფრაიბურგი — მეპენი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| კოტბუსი — ფიურტი | 1,5 | 3,1 | 4,7 |

29 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლაიპციგი — ურდინგენი | 2,1 | 2,8 | 2,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. IX ტური

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — შეფილდი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ბარნსლი — ლესტერი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ჩელსი — ნიუკასლი | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| კრისტალ პალასი — ბოლტონი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| დერბი — საუთჰემპტონი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ევერტონი — არსენალი | 2,8 | 2,9 | 2,0 |
| ლიდსი — მანჩესტერი | 2,8 | 2,9 | 2,0 |
| ტოტენჰემი — უიმბლდონი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ვესტ ჰემი — ლივერპული | 2,5 | 2,8 | 2,2 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — ქოვენთრი | 1,2 | 4,0 | 8,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. IX ტური

26 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნორვიჩი — იფსვიჩი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ნოტინგემი — სტოკი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ოქსფორდი — ბრედფორდი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| პორტ ვეილი — ქუინზ პარკი | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — რედინგი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| შეფილდი — ბირმინგემი | 1,4 | 3,1 | 5,6 |

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერი — ვესტ ბრომი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ჩარლტონი — სტოკპორტი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ქრიუ — ტრანმერი | 2,1 | 2,7 | 2,8 |
| სიტი — სვინდონი | 2,2 | 2,8 | 2,5 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სანდერლენდი — მიდლსბრო | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ვულვერჰემპტონი — ჰადერსფილდი | 1,15 | 4,7 | 8,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. IX ტური

26 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — კანი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ბორდო — მარსელი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| მონაკო — სტრასბური | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ლიონი — ლანსი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| მეცი — ოსერი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| პსჟ — მონპელიე | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| შატორუ — ლე ავრი | 2,2 | 2,7 | 2,6 |
| ტულუზი — გინგამი | 1,9 | 2,7 | 3,2 |
| რენი — ბასტია | 2,3 | 2,9 | 2,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. IV ტური

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლაციო — ბარი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ლეჩე — ინტერი | 4,2 | 3,0 | 1,6 |
| პარმა — უდინეზე | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| სამპდორია — იუვენტუსი | 2,3 | 2,7 | 2,4 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — რომა | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| მილანი — ვიჩენცა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ნაპოლი — ატალანტა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ბრეშია — პიაჩენცა | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ფიორენტინა — ემპოლი | 1,15 | 4,7 | 8,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. V ტური

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორინო — ჯენოა | 1,5 | 3,0 | 5,0 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — ვენეცია | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| კალიარი — ფოჯა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| დი სანგრო — რავენა | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| კიევო — რეჯანა | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| ფ. ანდრია — ლუკეზე | 1,9 | 2,7 | 3,2 |
| პადოვა — სალერნიტანა | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| პერუჯა — ტრევიზო | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| პესკარა — ვერონა | 2,2 | 2,7 | 2,6 |
| რეჯინა — მონცა | 1,6 | 3,0 | 4,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. IV ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სარაგოსა — კომპოსტელა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ესპანიოლი — მერიდა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ბეტისი — ოვიედო | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ატლეტიკო — სელტა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| სალამანკა — ბილბაო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| სოსიედადი — ვალიადოლიდი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ვალენსია — რეალი | 4,2 | 3,0 | 1,6 |
| დეპორტივო — რასინგი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სპორტინგი — ბარსელონა | 6,0 | 3,8 | 1,25 |
| ტენერიფე — მალიორკა | 1,5 | 3,0 | 5,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. V ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვილიარეალი — ტოლედო | 1,9 | 2,7 | 3,2 |
| რაიო — ალბასეტე | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ერკულესი — ეიბარი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ოსასუნა — ლას პალმასი | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| ლევანტე — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ალავესი — ორენსე | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ლეგანესი — ხაენი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ატლეტიკო B — ხერესი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| სევილია — ელჩე | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ლოგრონიესი — ესტრემადურა | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ნუმანსია — ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. V ტური

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვარზიმი — სეტუბალი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| პორტუ — კამპომაიორენსე | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| მარიტიმუ — აკადემიკა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ამადორა — ლეცა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| სალგეირუში — რიუ ავე | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ბენფიკა — სპორტინგი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ბოავიშტა — ბრაგა | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| გიმარაეში — ფარენსე | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ბელენენსეში — შავეში | 1,3 | 3,6 | 6,0 |

რუსეთის ჩემპიონატი. – ტური

### რუსეთის ჩემპიონატი. XXIX ტური

26 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| როტორი — ალანია | 1,6 | 3,0 | 4,2 |

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — ლოკომოტივი | 1,4 | 3,2 | 5,3 |
| ცსკა — კრილია | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| ზენიტი — ტიუმენი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ტორპედო — ნოვგოროდი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ჩერნომორეცი — როსტსელმაში | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| კამაზი — ბალტიკა | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| ჟემჩუჟინა — დინამო | 4,2 | 3,3 | 1,5 |
| შინიკი — ფაკელი | 1,3 | 3,8 | 5,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტური

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტვენტე — ბრედა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| სიტარდი — ვიტესი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ჰერენვენი — აიაქსი | 5,6 | 3,8 | 1,3 |
| მაასტრიხტი — ნაიმეგენი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| გრააფსხაპი — ვალვაიკი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| სპარტა — როდა | 1,9 | 2,9 | 3,0 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლენდამი — ეინდჰოვენი | 5,6 | 3,8 | 1,3 |
| უტრეხტი — ტილბურგი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| გრონინგენი — ფეიენოორდი | 4,7 | 3,4 | 1,4 |

### ბელგიის ჩემპიონატი. VII ტური

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — ლომელი | 2,1 | 3,0 | 2,5 |
| მუსკრონი — ალსტი | 1,5 | 3,2 | 4,4 |
| შარლერუა — ანდერლეხტი | 2,1 | 3,0 | 2,5 |
| ლოკერენი — ეკერენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ანტვერპენი — ჰარელბეკი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| მოლენბეკი — ვესტერლო | 1,5 | 3,2 | 4,4 |
| ლიერსი — ბრიუგე | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| გენკი — სტ. ტრიუდენი | 1,15 | 4,4 | 9,0 |
| გენტი — ბევერენი | 1,5 | 3,1 | 4,7 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. VII ტური

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 4,4 | 3,2 | 1,5 |
| ჰიბერნიანი — სტ. ჯონსტონი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| კილმარნოკი — ჰართსი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| რეინჯერსი — მოზერველი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XIII ტური

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სერვეტი — ქსამაქსი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| სიონი — ლუცერნი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| სტ. გალენი — გრასჰოპერი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ციურიხი — კარუჟი | 1,2 | 4,0 | 8,0 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ლოზანა | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| კრინსი — არაუ | 1,7 | 3,0 | 3,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. VIII ტური

26 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი — გაზიანთეფსფორი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — შექერსფორი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| ქარაბუქი — ფენერბაჩე | 5,6 | 4,0 | 1,25 |
| ქაისერი — ბეშიქთაში | 8,0 | 4,7 | 1,15 |

28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისთანბულსფორი — ანთალიასფორი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ბურსა — ქოჩაელისფორი | 1,4 | 3,1 | 5,6 |

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.**
**თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;**
**ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.**
**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მიუნხენში მილიონებს არიგებენ

სამშაბათს მიუნხენში ჩოგბურთის ყველაზე უფრო მიმზიდველი ტურნირი დაიწყო. „დიდი სლემის თასზე“ საკვალიფიკაციო ქულებს არ არიგებენ, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები მასში მონაწილეობის შანსს ხელიდან მაინც არ უშვებენ. მიზეზი, რა თქმა უნდა, ფულია, თანაც დიდი ფული: მიუნხენში მხოლოდ მონაწილეობისთვის 100 ათას დოლარს იძლევიან, მერე და მერე კი ნიხრი კიდევ უფრო მატულობს:

მეოთხედფინალში გასულს (მეორე წრე) — 250 ათასი დოლარი

ნახევარფინალისტს — 425 ათასი დოლარი

ფინალისტს — 750 ათასი დოლარი

გამარჯვებულს — 1 500 000 დოლარი



გრეგ რუზეცკი

გარდა ამისა, ტურნირზე კიდევ ერთი „მცირე“ პრიზია გათვალისწინებული. თუ აქ ის ჩოგბურთელი გაიმარჯვებს, რომელმაც წლის განმავლობაში დიდი სლემის ტურნირი მოიგო, იგი დამატებით მილიონ დოლარს მიიღებს. ასე რომ, მიუნხენში თამაშით მთელი ცხოვრების სამყოფი „მწვანეების“ შოვნა შეიძლება. მაგალითად, პიტ სამპრასის იქაური მონაგარი 5 მილიონ 393 ათასი დოლარია საპრიზოების სახით. რაც შეეხება წინა წლების გამარჯვებულებს, 1,5 მილიონი სხვადასხვა წლებში ჩაუჯიბავთ: 1990 — პიტ სამპრასს, 1991 — დევიდ ვიტონს, 1992 — მიხაელ შტიხს, 1993 — პეტერ კორდას, 1994 — მაგნუს ლარსონს, 1995 — გორან ივანიშევიჩს, 1996 — ბორის ბეკერს.

სამშაბათს ტურნირზე ოთხი მერვედფინალი გაიმართა. პირველნი კორტზე უიმბლდონის ფინალისტი, ფრანგი სედრიკ პიოლინი (6) და „როლან გაროსის“ აღმოჩენა — ნახევარფინალისტი, ბელგიელი ფილიპ დევულფი გამოვიდნენ. ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს გასულ კვირას, დევისის თასის გათამაშებაზე უნდა შეხვედროდა, მაგრამ მაშინ პიოლინმა ტრავმა მიიღო, რაც საფრანგეთს უმაღლესი ჯგუფიდან გავარდნად დაუჯდა. მიუნხენში კი პიოლინის ბედი უკვე ბელგიელმა გაიზიარა. პირველ სეტში, 2:2-ზე მან დიდი წინდაუხედაობა გამოიჩინა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), ბადესთან ქულის წაგების შემდეგ ბურთს დაადგა ფეხი და კოჭი იღრძო, მაგრამ დევულფს ეტყობა, შერცხვა, 100 ათასს მთლად დაუმსახურებლად რომ მიიღებდა და თამაში მაინც გააგრძელა, პირველ სეტში პიოლინს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია და ტაი-ბრეიკზეღა დამარცხდა. მეორე ხელში კი, ისევ 2:2-ზე თავი ვალმოხდილად ჩათვალა და მეოთხედფინალის საგზური მეტოქეს გადაულოცა — 6:7 (5:7), 2:2.

პირველ დღეს ყველაზე დიდ ინტერესს „როლან გაროსის“ ორი ყოფილი ჩემპიონის — ესპანელ სერხი ბრუგერასა (1993, 1994) და რუს ევგენი კაფელნიკოვის (1996) შეხვედრა იწვევდა. რა თქმა უნდა, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ სოჭელი ჟენიას დიზაინერები, მეტი რომ არ ვთქვათ, ახირებული ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებენ. რუსს, როგორც იქნა, ჭყეტელა ყვითელი წუღა-მაისურები გახადეს, სამაგიეროდ, კიდევ უფრო ჭყეტელა წითლებში გამოაწყვეს. კვირას დევისის თასზე სამარცხვინოდ წაგებული შეხვედრის შემდეგ ჟენიას ამან თუ გამოუკეთა გუნება-განწყობილება, კორტზე თავისი მეტოქე აშკარად რომ დაჯაბნა. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში ძირითადად უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმების დუელად იქცა. ხანგრძლივი და მწვავე გათამაშების გამარჯვებული მუდმივად რუსი გამოდიოდა, თუმცა, სხვა კომპონენტებში ორივენი ზედმეტად სცოდავდნენ: ხშირი იყო ორმაგი შეცდომები, პირველი მოწოდებისას მიზნისთვის ერთიორი მეტრით აცილება, უზუსტობები ბადესთან. საკუთარი თამაშით გალიზიანებულმა ბრუგერამ ბრაზი გვერდით და მთავარ მსაჯებზე გადმოანთხია, უპირატესობა კი მეტოქეს გადაულოცა. რუსმა პირველ ხელში ერთი ბრეიკი გააკეთა, მეორის დასაწყისში — ზედიზედ ორი და თამაშის მოგებას სულ 63 წუთი მოანდომა, 6:4, 6:3. მატჩის შემდეგ გამარჯვებულს ჰკითხეს, კაფელნიკოვზე თუ დადებდით ფულსო, რაზეც ჟენიამ უპასუხა, მე შეიძლება გავრისკო, მაგრამ თქვენ ამას არ გირჩევდითო.

დარჩენილი ორ შეხვედრაში „ვუდების“ ავსტრალიური წყვილი თამაშობდა, მაგრამ ცალ-ცალკე და წარუმატებლად. უფროსმა ვუდმა — მარკ ვუდფორდმა სამ ხელში დათმო შეხვედრა ჩილელ მარსელო რიოსთან 7:6, 3:6. 1:6, უმცროსმა — ტოდ ვუდბრიჯმა კი მსოფლიოში უმძლავრესად მომწოდებელ ინგლისელ გრეგ რუზეცკის ასევე მარტო პირველ ხელში გაუწია წინააღმდეგობა — 6:4, 1:6, 5:7.

* * *

ბუქარესტი. რუმინეთის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე

**პირველი წრე: ალბერტო ბარასატეგი (3, ესპანეთი) — დინუ პესკარიუ (რუმინეთი) 6:3, 1:6, 7:6 (9:7); ალბერტ პორტასი (4, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:4, ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — ქარიმ ალამი (8, მაროკო) 6:3, 6:3; კარლოს მოია (1, ესპანეთი) — ჰენრიკ დრეეკმანი (გერმანია) 6:1, 4:6, 6:3; ალექს კორეჩა (2, ესპანეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:4, 6:1.**

რუმინეთის ტურნირი სეზონში ერთ-ერთი უკანასკნელია, თიხნარზე რომ ტარდება და ბუქარესტს მიწაზე თამაშის მოყვარულ ესპანელთა არმია მიაწყდა — პირველი ოთხი განთესილი აქ ამ ქვეყნის წარმომადგენლები არიან. პირველ წრეში ძალზე გაუჭირდა ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულს ალბერტო ბარასატეგის. უკანასკნელ ხანებში სუსტად მოასპარეზე ესპანელი მასპინძელ დინუ პესკარიუსთან რამდენიმე მატჩ-პოინტს გადაურჩა და მესამე ხელის ტაი-ბრეიკზეღა გამოსტაცა მეტოქეს გამარჯვება. სამი ხელი დასჭირდა შემდეგ წრეში გასასვლელად ბუქარესტში პირველად განთესილ კარლოს მოიასაც. შესანიშნავად ჩატარებული პირველი სეტის შემდეგ არაფრით გამორჩეულ გერმანელ დრეეკმანთან იგი მოეშვა და შედეგად კორტზე სირბილი თითქმის ორი საათი დასჭირდა. ერთადერთი განთესილი, თავისი საქმე დროულად რომ მოითავა, ალექს კორეჩა აღმოჩნდა. მან ჩხუბისთავ ამერიკელ ჯეფ ტარანგოსთან მოგებას სულ 52 წუთი მოანდომა.

ტულუზა. საფრანგეთი. „გრანპრი“. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო ფონდი 375 ათასი დოლარი

**პირველი წრე: მარციო მარტელი (იტალია) — კრის ვილკინსონი (ინგლისი) 6:2, 7:6 (8:6), ნიკოლას კიფერი (12, გერმანია) — პატრიკ ფრედრიქსონი (შვედეთი) 4:6, 6:3, 6:1; იან სიმერინკი (5, ჰოლანდია) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:3, 6:1; ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) — დანიელ ვაცეკი (9, ჩეხეთი) 6:4, 1:6, 6:3; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ფ. პოცი (იტალია) 6:3, 6:4; პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) — ალბერტ კოსტა (1, ესპანეთი) 7:5, 6:3.**

ავთანდილ სვანიძე


ვკურნავ

მხოლოდ საქვეზი პროდუქტებით:

სტომატიტს, ანგინას და ღრძილების ანთებას

☎ 37-06-53

თამრიკო


ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე სავსებით შესაძლებელია საერთაშორისო ასპარეზობების მაღალ დონეზე ჩატარება. ეს წელს დევისის თასზე სლოვენიისა და ნიგერიის ნაკრებებთან ჩვენი ვაჟთა ნაკრების მატჩებისასაც დადასტურდა. და აი, ახლა თბილისი ქალთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. 27 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე გაგრძელდება თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირი — „ქართუ“. როგორც ტურნირის სახელწოდებიდანაც ჩანს, მისი ძირითადი სპონსორი ფირმა „ქართუ“ იქნება. 27-დან 29-მდე გაიმართება საკვალიფიკაციო ტურნირი, 30-დან კი დაიწყება ძირითადი ასპარეზობა, რომლის გამარჯვებულიც 5 ოქტომბერს გაირკვევა. პირველადი განაცხადის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ჩოგბურთელები 25 ქვეყნიდან ჩამოვლენ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ავსტრალიიდან, ტუნისიდან... ტურნირის საპრიზო ფონდი 10 000 დოლარია...

# სხვადასხვა ქვეყნის ქალები

საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი მიიღებს მონაწილეობას ნინო ლუარსაბიშვილის გარდა. ნინო, მოგეხსენებათ, აშშ-შია, მისი საერთაშორისო რეიტინგი მაღალია და მუდმივად იწვევენ ისეთ ტურნირებში, რომელთა საპრიზო ფონდი თბილისის ტურნირთან შედარებით გაცილებით მეტია (25 000, 50 000 და ზევით), ამიტომ, ალბათ, ნინო ამ პერიოდში სხვა ტურნირში გამოსვლას ამჯობინებს.

ჩვენებიდან ძირითად ტურნირში სამი მონაწილეა დაშვებული — სოფიკო მანაგაძე, ირინა კაკულია და ეკა ჟვანია. როგორც ტურნირის ორგანიზატორ ქვეყანას, საქართველოს სამი ადგილი მიეცა ძირითად ტურნირში და მას სწორედ ეს ჩოგბურთელები შეავსებენ. დანარჩენი ჩვენი მოთამაშეები ასპარეზობაში საკვალიფიკაციო ტურნირიდან ჩაებმებიან. რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი ეცდება, წარმატებით დაძლიოს ეს ეტაპი და მოხვდეს იმ 32 საუკეთესოს შორის, რომლებიც შემდეგ საპრიზო ადგილებს გაითამაშებენ.

ლეილა მესხის აკადემიის კორტები ჩვენი სპორტული ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მოვლენას სრულ მზადყოფნაში ხვდება. ტურნირის მთავარი ორგანიზატორი, რა თქმა უნდა, ჩვენი სასიქადულო ჩოგბურთელი ლეილა მესხია, რომელიც ტურნირის ბოლო დღეს, 5 ოქტომბერს, ოფიციალურად გამოეთხოვება აქტიურ სპორტს.

ჩოგბურთის მოყვარულებს ძალიან საინტერესო სანახაობა ელით. ტურნირის მონაწილეთა საბოლოო შემადგენლობა დღეს დადგინდება.

ძოტე მგალობლიშვილი

კალათბურთი

# ჩემპიონატი 18 ოქტომბერს იწყება, ბევრი რამ კი ჯერაც გასარკვევია

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი 18 ოქტომბრიდან დაიწყება. გუნდების პირველადი განაცხადები უკვე უნდა წარედგინათ კალათბურთის ფედერაციაში. ასეც მოიქცა 11 გუნდი: „ვითა“, „დინამო-1“, „აზოტი“, სდასუ, თსუ, „შევარდენი“, „მაკაბი“, ასკ, „იმერეთი“, „კოლხა“ და „დინამო-2“. მათ შეიძლება სტუ-ს გუნდიც დაემატოს. თითქოს საქართველოს 1997-1998 წლის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიც დადგინდა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ მოსაგვარებელი ყოფილა. გვესაუბრება კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი:

— ეს ეგრეთ წოდებული სამუშაო განაცხადებია, საბოლოოს კი გუნდები 3 ოქტომბერს მოიტანენ. მათ საფუძველზე გუნდების შემადგენლობასაც ვერ დაადგენ, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იგივე მოთამაშე ორი-სამი გუნდის განაცხადშია შეყვანილი. მაგალითად, შალვა ცხვედიანი „დინამოშიცაა“ და თსუშიც, შოთა მაჭარაძე „დინამოშიც“ და „ვითაშიც“. ამიტომ გუნდებს მკაცრად მოეთხოვათ, როცა 3 ოქტომბერს საბოლოო განაცხადს მოიტანენ, მოთამაშეებმა თავიანთი ხელმოწერით დაადასტურონ, რომ ისინი სწორედ იმ კონკრეტულ გუნდში ირიცხებიან. კალათბურთელს, რომლის ხელმოწერასაც ერთზე მეტი გუნდის განაცხადში ვიხილავთ, დისკვალიფიკაცია არ ასცდება.

კიდევ ერთი საკითხი. გუნდებს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის გარკვეული გადასახადი აქვთ შესატანი. სანამ წლევანდელ გადასახადს შეიტანენ, მათ შარშანდელი ვალი უნდა გაისტუმრონ. დავალიანების მქონე გუნდები კი საკმაოდაა — „დინამოს“ ორივე გუნდი, „მაკაბი“, „შევარდენი“, „ვითა“, სდასუ. თუ ისინი შარშანდელ ვალს არ გაისტუმრებენ და წლევანდელს არ გადაიხდიან, ჩემპიონატში არ დაიშვებიან. ამიტომ რამდენი გუნდი ითამაშებს პირველობაზე, 3 ოქტომბრამდე არ იქნება ცნობილი.

მოვალეთაგან ყველაზე ცუდი მდგომარეობა „დინამოსა“ აქვს. მის ორივე გუნდს 1276 ლარი ვალი დაუგროვდა. თუ სხვა გუნდები გვპირდებიან მაინც ვალის დაფარვას, „დინამოს“ საკალათბურთო ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა ჟვანია აქეთ გვედავება. საქმე იმაშია, რომ შარშანწინ კორაჩის თასზე სპორტის სასახლეში გამართული მატჩის შემდეგ ევროპის საკალათბურთო ფედერაციამ თბილისის „დინამო“ სარეკლამო განაწესის დარღვევისათვის დააჯარიმა — დებულებით რეკლამა მოედნის ცენტრის წრეხაზში ან საჯარიმო მოედნის ნახევარწრეში უნდა იყოს. სპორტის სასახლეში კი „საველიჩისა“ და „ვითაბანკის“ წარწერები პირითი ხაზის გასწვრივ თითქმის მთელ მოედანზე იყო. „დინამოს“ პრეზიდენტი ამაში ფედერაციას ადანაშაულებს — არ გაგვაფრთხილაო. არადა, გუნდს კორაჩის თასის დებულება ორი თვით ადრე გაეგზავნა გასაცნობად. ფედერაცია ვალდებული არ არის, კლუბს ეს დებულება უთარგმნოს. საერთოდ, მატჩზე უკვე კლუბია პასუხისმგებელი, ჩვენი ამოცანა კი ევროპის კალათბურთის ფედერაციისთვის მიცემული გარანტიებია. მოკლედ, თუ ვინმესთან აქვს სადავო „დინამოს“ ისევ სპორტის სასახლესთან, რომელმაც ამ რეკლამებში თანხა მიიღო. უფრო კი სწორედ კლუბის ხელმძღვანელობის ბრალია, რომ დებულებას არ იცნობდა. კალათბურთის ფედერაცია ნაკრების თამაშებზეა პასუხისმგებელი. ამ მხრივ კი ყველაფერი წესრიგში იყო. მოკლედ, ჩვენ არანაირი ვალი არ გვაქვს „დინამოსი“, „დინამომ“ კი აუცილებლად შარშანდელი ვალიც უნდა გაისტუმროს და წლევანდელი გადასახადიც შემოიტანოს.

საერთოდ, გუნდების მიერ შემოტანილი თანხა ისევ გუნდებს სჭირდებათ, რომ მატჩები ნორმალურად ჩატარდეს. საზღვარგარეთ, ვთქვათ, საბერძნეთში მსაჯებს მატჩში 400 დოლარს უხდიან, რუსეთში 150 დოლარს, ჩვენთან, გასაგებია, ქვეყანას უჭირს, მაგრამ მსაჯმა 15 ლარი მაინც ხომ უნდა აიღოს მომსახურებისთვის, თან რა რთულ პირობებში მიმდინარეობს ჩვენთან მატჩები. ბოლოს და ბოლოს გუნდები უნდა მიხვდნენ, რომ ყველაფერში წესრიგია საჭირო და ეს უპირველესად თავად წაადგებათ.

3 ოქტომბერს საბოლოო განაცხადებს მივიღებთ. იმ დღესვე, 11 საათზე ჩატარდება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყრილობა და ალბათ, ბევრი რამ მაშინ გაირკვევა.

ძოტე მგალობლიშვილი


რიკო ინტერნეიშენელი

გთავაზობთ სკოლის მოსწავლეებს სწავლის გაგრძელებას აშშ-ში. სტუდენტებს ენის შემსწავლელ კურსებს ამერიკის და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. სკოლის მოსწავლეებს გირჩევთ, საბუთები შემოიტანოთ დროულად, საუკეთესო ოჯახების შესარჩევად.

მოგვმართეთ ყოველდღე 10-დან 17 სთ-მდე

ჩვენი მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი № 74

ტელ: 23 32 10; 29 91 81


ველორბოლა

ესპანეთის ველოტური „ვუელტა“

# მამიკოს არ დაუჯერეს

22 სექტემბერი. მე-16 ეტაპი კანგას დე ონისიდან სანტანდერამდე. 170 კილომეტრი.

ორშაბათს ყურადღების ცენტრში ისევ რუსი პაველ ტონკოვი მოექცა, რომელმაც შვილის დაბადების შემდეგ უკანასკნელი სამი რბოლიდან ორი მოიგო, ოღონდ ამჯერად თავს გადახდა უსიამოვნო ამბავი: საქმე ისაა, რომ ტონკოვს ან ახალშემატებული ოჯახის წევრისკენ გაუწია გულმა, ან, ოფიციალური ვერსიით, მართლა ბრონქიალური ვირუსი შეეყარა და მეთექვსმეტე ეტაპის დაწყებამდე რბოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. „ვუელტას“ ორგანიზატორებმა შინისკენ მიმავალ გაბედნიერებულ მამას უკან „საჩუქარი“ მიაყოლეს: მათ რუსის საქციელს ველოსპორტის პრესტიჟისა და ინტერესებისადმი უპატივცემულობა უწოდეს, „მაპეის“ გუნდის მიერ გაგზავნილ სამედიცინო ცნობას ტონკოვის ავადმყოფობის შესახებ — ყალბი და ველოსპორტის საერთაშორისო ორგანიზაცია — UCI-ში საჩივარიც გააგზავნეს: ითხოვენ მისი საპრიზო 500 000 პესეტის (3330 დოლარი) დაკავებას და მრბოლის ნახევარწლიან დისკვალიფიკაციას. ესპანელთა აღშფოთება ადვილი გასაგებია, რადგან წინა დღით წვიმასა და ყინვაში 1996 წლის „ჯიროს“ გამარჯვებულმა ტონკოვმა თხუთმეტკილომეტრიანი დამქანცველი აღმართი ყველა ჯანმრთელზე სწრაფად აათავა. რაც შეეხება თავად რბოლას, „მაპეის“ გუნდმა კაპიტნის დაკარგვა არ დაიტყო და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ტონკოვის ადგილი ჩეხმა იან სვორადამ დაიკავა, რომელმაც მეტად უინტერესო ეტაპის მასობრივი საფინიშო სპურტი საკმაოდ იოლად მოუგო მთავარ კონკურენტს — გერმანელ მარსელ ვუსტს. ეს ჩეხის მეორე გამარჯვება იყო წლევანდელ „ვუელტაზე“ და მისივე თქმით, არა უკანასკნელი: „ჩვენს გუნდს საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გასვლის შანსი დაეკარგა, ამიტომ ახლა შევეცდებით, რაც შეიძლება მეტი ეტაპი მოვიგოთ თავის გამოსაჩენად. მადრიდში, უკანასკნელ დღეს გამარჯვება ყველაზე მეტად მსურს“.

**მე-16 ეტაპი: 1. იან სვორადა — 3:54,07; 2. მარსელ ვუსტი; 3. ალესიო დი ბასკო (იტალია); 4. ლარს მიხელსენი (დანია); 5. არტ ვირჰოტენი (ჰოლანდია); 6. სტეფანო კოლაჯი (იტალია); 7. სვენ ტოიტენბერგი (გერმანია); 8. კლაუდიო კამინი (იტალია) — ყველას იგივე დრო.**

23 სექტემბერი. მე-17 ეტაპი სანტანდერიდან ბურგოსამდე. 182,7 კილომეტრი

სამშაბათის საკმაოდ გრძელი ეტაპის განმავლობაში მრბოლებს მხოლოდ ერთი იოლი აღმართი ჰქონდათ ასავლელი, ამიტომ არავინ ჩამორჩენილა. გაქცევის ერთადერთი ასე თუ ისე წარმატებული მცდელობა კი დანიელმა ბო ჰამბურგერმა განახორციელა. იგი პელოტონს 50 კილომეტრის განმავლობაში ედგა სათავეში, მაგრამ თავისი უპირატესობა წუთზე მეტად ვერ გაზარდა და როცა დრო მოვიდა, იოლადაც გამოიჭირეს. მას მერე მრბოლები ძალზე ძლიერმა ქარმა შეაწუხა და წინ გაჭრის კამიკაძისეული სურვილი აღარავის გამოუმჟღავნებია, ის კი არა, ერთურთს არავინ მოშორებია. ბოლო ათ კილომეტრზე რბოლის ტემპმა მაინც საგრძნობლად იმატა, თუმცა სოლო რეიდი არავის გამოუვიდა და კიდევ ერთი მასობრივი საფინიშო სპურტი მოეწყო. ჩეხი იან სვორადა სიტყვის კაცი აღმოჩნდა და ერთი ეტაპი კვლავ მოიგო, თანაც დაგეგმილზე გაცილებით ადრე. უიღბლო მეორეადგილოსანი ისევ გერმანელი ვუსტი იყო, რომელსაც უკანასკნელ მეტრებზე პედალზე ფეხი აუცდა, რითაც სპრინტერების პოდიუმზე ამყვანი წამის მეირფასი მეათედები დაკარგა. საერთო ჩათვლაში თავის პირველ ადგილს და ყვითელ მაისურს ისევ შარშანდელი ჩემპიონი, შვეიცარიელი ალექს ცულე ფლობს.

**მე-17 ეტაპი: 1. სვორადა 4:15.03; 2. ვუსტი; 3. სვენ ტოიტენბერგი; 4. ფაბრიციო გვიდი (იტალია); 5. დეონ ვან ბონი (ჰოლანდია) — ყველას იგივე დრო.**

ლევან ჩხეიძე

## მოტოციკლი



# ვალენტინო ჯანზეა

ამ უქმეებზე სენთულის ტრეკზე მსოფლიო პირველობის ბოლოსწინა ეტაპი — ინდონეზიის დიდი პრიზია.

125 კუბური სანტიმეტრის კლასში 18 წლის იტალიელი ბიჭი ვალენტინო როსი ჩემპიონი აგვისტოში გახდა. ამით გახარებულმა მშობლიურმა ქალაქმა ტავულიამ მრბოლს ბენეფისი მოუწყო, რაც ნორჩი ვარსკვლავისთვის კინაღამ სავალალოდ დამთავრდა.

შაბათღამ ავტო, რომლითაც როსი წვეულებიდან ბრუნდებოდა, გზის პირად აღმართულ ლამპიონის შეეჯახა. ჩემპიონს თავი გაუტყდა. იგი გააქანეს ჰოსპიტალში, საიდანაც იმედიანმა დიაგნოზმა გამოჟონა: ვალენტინოს ტვინს არაფერი დაშავებია, ამიტომ ინდონეზიაში შეუფერხებლად ირბოლებსო.

ისიც სათქმელია, რომ მანქანის საჭესთან როსი არ მჯდარა. ბიჭი უკვე მოტოციკლის ჩემპიონია, მაგრამ რაკი სრულწლოვანი ახლაღა შეიქნა, ავტომანქანის მართვის მოწმობა სულ ცოტა ხნის წინ აუღია.

## მანამდეც შეუცოდავთ

ვწერდით, ჭეელი ავსტრალიელი ენთონი გობერთი, 500 კუბური სანტიმეტრის კლასში რომ ასპარეზობდა, მისმა გუნდმა „სუძუკიმ“ ვადამდე დაითხოვა, რადგან დოპინგ-ტესტი ჩაუფლავდათ. მაშინვე გავრცელდა ცნობა, თითქოს გობერთი მეწამლეობაზე გამოჭერილი პირველი მოტოციკლისტი ყოფილიყოს.

ახლა გაირკვა, რომ საქმე მთლად ვერც მასეა. ენთონის ოთხი წინამორბედი ყოლია: ერთი ეტლიან მოტო-კროსში ასპარეზობდა, მაგრამ წესების დაცვით რომ ვერ გაუსინჯავთ, მხილებული ველარც დაუსჯიათ. მეორე ევროპის პირველობაზე ჩავარდნილა, მაგრამ ოდენ ორი თვით დაუთხოვიათ. დანარჩენი ორი გაუფრთხილებიათ: ერთი კანაბისის გაფუილებისთვის, მეორე — ამგზნების გამოყენებისთვის.

ერთი კია, ყველა ესენი გობერთის დონის მრბოლები არა ყოფილან, ამიტომ მათი დანაშაული ასოკირკიტა მიმომხილველებსაც აღარ ახსოვდათ.

თენგიზ არტამონოვი

## აფროსნობა

# აფრა გაკერეს და წინაც გაიჭრნენ

კვირის სტარტისას ქოუვზის ბოღაზი პირველმა „ი-ეფ ლენგვიჯმა“ დაუტევა. „ტოშიბასა“ და „ინოვეიშენს“ ჟურნალისტთა და მოსეირეთა ნავები შეეჯახნენ. არავინ დაშავებულა, მაგრამ ნორვეგიელებს სპინაკერი გაეხათ. სკანდინავებმა ორ კაცს დაავალეს აფრის გაკერვა, მერე კი თანდათან აკრიფეს სიჩქარე: გუშინწინ თუ მესამე ადგილზე მიდიოდნენ და დაწინაურებულ „მერით ქაფს“ 5,1 მილით ჩამორჩებოდნენ, ახლა მასვე 17,6 მილით უსწრებენ.

ორშაბათს ოთხი ლიდერი გამოიცვალა. „ლენგვიჯსა“ და მონაკოს ნავს „ჩესი“ და „ტოშიბა“ შეენაცვლნენ. ქარი სუსტი — ოდენ 3-5 კვანძა (კვანძი მილ-საათია!) ქროდა. „ტოშიბამ“ ისე არასტაბილურად იარა, რომ ცხრილის ათივე (!) ადგილზე დააფიქსირეს.

პირველი სტადიის ფინიშს — ქეიფთაუნს მოწინავენი 22 ოქტომბერს მიაღწევენ.

მიხო ნინუა

### ვითბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

I სტადია. საუთჰემპთონი — ქეიფთაუნი

ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | კ. ფროსტადი | 6787 |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | პ. კაიარდი | +13.4 |
| მერით ქაფ | მონაკო | გ. დოლთონი | +17.6 |
| სილქ ქათ | ბრიტანეთი | ლ. სმითი | +18.2 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | ჯ. ოლსოპი | +22.7 |
| ტოშიბა | აშშ | ქ. დიქსონი | +26.3 |
| ემერიქაზ ჩელენჯ | აშშ | რ. ფილდი | +72 |
| ბრიუნელსანერჯი | პოლანდია | პ. ბუსხოლცი | +75 |
| ი-ეფ ედუქეიშენ | შვედეთი | კ. გიუ (ქალი) | +81 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | გ. კრანცი | +84.7 |



## კრივი

# პაემანი გადაიდო

55 წლის მუჰამედ ალი ავადაა, მაგრამ არ ტყდება და ბოლოჟამს საზოგადოებაშიც სულ უფრო ხშირადა ჩნდება. ყურადღებას ლეგენდარულ მოკრივეს არც ხალხი აკლებს. აკი ალის დაანთებინეს ატლანტის ოლიმპიადის ცეცხლი, მერე კრივის „დიდების დარბაზში“ აირჩიეს, ახლა კი მასთან დაკავშირებული სახსოვრისების (memorabilia) საჯაროდ გაყიდვასაც აპირებენ.



საპასუხო აქტიურობას არც ალი აკლებს. იგი მიუბრუნდა მშობლიურ ქალაქ ლუივილს, კენტუკის შტატში რომაა და იქ გაამართვინა მოყვარულ მოკრივეთა დიდი ტურნირი — „ალის თასი“, რომელიც სამადლობელი შოუთი „ალის ხოტბით“ დაგვირგვინდა.

საკუთრივ ტურნირი დიდი ვერაფერი ბედენა იყო. რაკი ოქტომბერში ბუდაპეშტში მსოფლიო ჩემპიონატი იმართება, კუბამ, გერმანიამ, თაილანდმა და სხვებმაც საუკეთესო მოკრივეები დაასვენეს, ამერიკას კი ატლანტის შემდეგ თითქმის დაეშალა გუნდი, რადგან ყველა ოლიმპიელი გაპროფესიონალდა. და მაინც, შეჯიბრზე 20 ქვეყანამ მოიყარა თავი.

ორგანიზატორთა ჩანაფიქრით მთავარი შოუ უნდა ყოფილიყო. ალიმ მასზე ცნობილი ხალხი დაპატიჟა. საზოგადოება დაატკბო სოულის მომღერალმა ნატალი ქოულმა. 15 ათასი მოსეირე გაერთო ლანდებთან ლაციცით — წარმოსახვით მეტოქესთან კრივით.

ლუივილში ჩაბრძანდა ვბა-ის მძიმეწონოსანი ჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდიც. ალიმ მასთან შესარიგებლად ყურთა მკვნეტელი მაიკ ტაისონიც დაპატიჟა. „რკინის მაიკი“ თავიდან თითქოს ყაბულს იყო, მაგრამ ბოლო მომენტში მოიმიზეზა, თვითმფრინავის ბილეთი დროით ვერ ავიღეო და ალის პირი გაუტეხა. სამაგიეროდ, შეპირდა, 300 ათას დოლარს შევაწევ თქვენს საქველმოქმედო ფონდსო.

ერთი სიტყვით, ლას-ვეგასური ბლეფის შემდგომ დათქმული ჰოლიფილდ — ტაისონის პირველი პაემანი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ვალერი ჯიქია

## უცხო ხილი

# ყვავები თუ წმინდანები?

შაბათს მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე“ ავსტრალიური ბურთაობის ლიგის დიდი ფინალია. „ყვავები“ ამქარში 1991 წელსღა მიიღეს და შოუში პირველად მონაწილეობენ, ლიგის დამფუძნებელ „წმინდანებს“ კი ალამი აქამდე ერთადერთხელ ეპყრათ — 1966 წელს.

| AFL- 1997 | მ | ფ | წ | % | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სენთ-ქილდას წმინდანები | 15 | 0 | 7 | 119.6 | 60 |
| ჯილონგის კატები | 15 | 0 | 7 | 117.8 | 60 |
| დას. მელბურნის ბულდოგები | 14 | 0 | 8 | 101.8 | 56 |
| ადელაიდის ყვავები | 13 | 0 | 9 | 121.5 | 52 |
| პერთის არწივები | 13 | 0 | 9 | 111.2 | 52 |
| სიდნეის გედები | 12 | 0 | 10 | 116.2 | 48 |
| ჩრდ. მელბურნის კენგურუები | 12 | 0 | 10 | 111.7 | 48 |
| ბრისბენის ლომები | 10 | 1 | 11 | 105.2 | 42 |
| პორტ-ადელაიდის ძალა | 10 | 1 | 11 | 91.8 | 42 |
| ქოლინგვუდის კაჭკაჭები | 10 | 0 | 12 | 111.4 | 40 |
| კარლტონის ლურჯები | 10 | 0 | 12 | 96.7 | 40 |
| ფრიმენთლის დოკერები | 10 | 0 | 12 | 91.9 | 40 |
| რიჩმონდის ვეფხვები | 10 | 0 | 12 | 83.6 | 40 |
| ესენდონის ბომბდამშენები | 9 | 0 | 13 | 92.3 | 36 |
| ჰოვსორნის ძორები | 8 | 0 | 14 | 87.4 | 32 |
| მელბურნის დემონები | 4 | 0 | 18 | 60.8 | 16 |

### პლეი-ოფი

I წრე. შესარჩევი ფინალები. 6-7. 09: ბულდოგები (3) 119 (18.11) — გედები (6) 84 (12.12); ყვავები (4) 99 (14.15) — არწივები (5) 66 (9.12); წმინდანები (1) 135 (20.15) — ლომები (8) 89 (13.11); კატები (2) 61 (9.7) — კენგურუები (7) 79 (11.13). გედები და ლომები გავარდნენ, წმინდანები და ბულდოგები გავიდნენ პირდაპირ III წრეში

II წრე. ნახევარფინალები. 13. 09: კენგურუები (7) 98 (15.8) — არწივები (5) 85 (12.13); ყვავები (4) 76 (11.10) — კატები (2) 68 (9.14)

III წრე. ნინასწარი ფინალები. 19-20. 09: წმინდანები (1) 104 (15.14) — კენგურუები (7) 73 (11.7); ბულდოგები (3) 91 (13.13) — ყვავები (4) 93 (12.21)

IV წრე. დიდი ფინალი. 27. 09: წმინდანები (1) — ყვავები (4)



## საქართველოს პირველობა

შემოდგომის სტადია

ა ჯგუფი

IV ტური. 23. 09. აელაბარი. ასკ 5 (0) (ლ: მაგრაქველიძე) — გუმარი 24 (0) (4ლ: მოდებაძე, ზ. მჭედლიშვილი, შაორშაძე, მაისურაძე; 2გ: მოდებაძე). მსაჯი ნოდარ რობიტაშვილი

ჭყონდიდლის დასახლება. რუსთავის აზოტი 15 (10) (2ლ: ჩიქვინიძე, ე. ძაგნიძე; გ, ს: ძაგნიძე) — ქორები 11 (3) (ლ: ალანია; 2ს: კვინიხიძე). მსაჯი გოჩა აბაშიძე

| (რჩება ნთ) | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 16 | 14 | 1 | 1 | 418:173 | 49-15 | 29 |
| აზოტი (რ) | 16 | 12 | 1 | 3 | 308:190 | 39-13 | 24 |
| ქორები | 16 | 8 | 1 | 7 | 294:219 | 32-12 | 17 |
| აია-ჰეი (ქ) | 16 | 9 | 0 | 7 | 257:252 | 30-25 | 17 |
| გუმარი | 16 | 6 | 1 | 9 | 284:268 | 33-26 | 11 |
| ასკ | 16 | 3 | 0 | 13 | 162:410 | 20-63 | 6 |

პლეი-ოფში ოთხი მოწინავე გადის

ბ ჯგუფი

20. 09. ვაკე: შევარდენი 41 (27) (6ლ) — უნივერსიტეტ-ლელო 24 (10) (2ლ); III მასივი: დინამო 20 (6) (2ლ) — თბილისი 5 (0) (ლ)

| ბ ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 8 | 8 | 0 | 0 | 196: 49 | 30- 4 | 16 |
| დინამო | 8 | 3 | 2 | 3 | 91:112 | 9-11 | 7 |
| უნივერსიტეტ - ლელო | 8 | 2 | 2 | 4 | 124:174 | 11-20 | 6 |
| თბილისი | 8 | 1 | 0 | 7 | 74:150 | 5-20 | 0 |

## რაგბი

# წაუგებელი აღარავინაა!

თვენახევრის წინ „ყოჩებმა“ ბრძოლა ადინეს საიქიოსკენ მიმართულ „აიას“. ის მარცხი ყველაზე სამარცხვინოა ქუთაისური გუნდის 30-წლიან ბიოგრაფიაში.

მასპინძლები გულდაგულ მოემზადნენ ლიდერთან საპაექროდ. არა, სრულყოფილი რევანში ზღაპარი იყო; ქუთაისელებს აქამდე დაუმარცხებელ „ყოჩებთან“ უბრალო გამარჯვებაც დიდ ვაჟკაცობად ჩაეთვლებოდათ.

17 საათისთვის დანიშნული მატჩი 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო. „ყოჩებს“ თადარიგი კი დაუჭერიათ და შინიდან ადრიანად გამომგზავრებულან, მაგრამ გზაში ავტობუსი გაჭიუტებულა — ხაშურამდე ძლივს ჩაუღწევია. ახალი ავტობუსის ძებნა-დაქირავებაში დიდი დრო გასულა. სტადიონზე მოსვლისთანვე სტუმრებმა გასახდელს მიაშურეს და სათამაშოდ მოუთელლად გამოვიდნენ, მაგრამ „ყოჩები“ მგზავრობამ დაღალაო, ნაღდად ვერ იტყოდით, რადგან ბურთაობა მათი უპირატესობით დაიწყო.

საწყის ათ წუთში თბილისელები მძლავრობდნენ და სამჯერ ქონდათ დაწინაურების შესაძლებლობა. ტეფნაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან არეკნით დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა მიზანს. ერთ წუთში კობახიძემ იმავე მანძილიდან საჯარიმო გააფუჭა, „ყოჩ“ „ჩიჩმიას“ (მაჩიტიძე) კი უმცროსმა „ანტილოპამ“ (ბესიკ ხამაშურიძე) ჩაუშალა სალელოე გარღვევა.

მასპინძლებმაც გამოიღეს ხელი. მეტოქის ნახევარზე პირველსავე გადასვლას შედეგი მოყვა. „კიჭიმ“ (ჩუბინიძე) ლამის ცენტრიდან უნაკლოდ დაარტყა. მას არც კობახიძე ჩამორჩა — საჯარიმოთივე გაასწორა ანგარიში.

აქედან მოყოლებული ასე 20 წუთი მოედანზე ქუთაისელები ბატონობდნენ. მათ სამი საჯარიმო გააცუდეს, ერთხელაც მთელი 3-4 წუთი ამაოდ ატრიალეს ბურთი სტუმართა ლელოსთან. ტაიმის მიწურულს ისევ კობახიძემ და ჩუბინიძემ ივარგეს — ზუსტად დაარტყეს საჯარიმოები.

მეტოქეები არც შესვენების შემდეგ აძლევდნენ ერთმანეთს თამაშის საშუალებას. გუნდები ფაქტობრივად დამრტყმელების იმედად იყვნენ. ამათ დუელში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. თუმც ჩუბინიძემ და კობახიძემ თითოჯერაც მოარტყეს მიზანს, მერე დარტყმები აღარ წაუვიდათ.

„კიჭიმ“ თავისი მისია „შოკის“ (შვანგირაძე) გადააბარა. მანაც გაამართლა ნდობა — გუნდს გამარჯვების მომტანი 3 ქულა შეძინა. სულ ბოლოს კობახიძემაც დაუთმო დარტყმა ტეფნაძეს, მაგრამ ამან ააცილა.

ქუთაისელებმა წელს პირველი მარცხი აგემეს „ყოჩებს“ და „დინამოზე“ მოსული 1 500-მდე ქომაგის ოვაციაც დამსახურებულად შეიშნეს. „ყოჩთა“ თავკაცი ლაშა გეგენავა, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო დარჩა მარცხით. „აიას“ მაგრა მოუმატებიაო, — შენიშნა, — მაგრამ წლეულს ჩემპიონობას ვერც ის და ვერც სხვა შეგვეცილებაო.

ქუთაისი. დინამოს სტადიონი

**აია-ჰეი 12: 9 ყოჩები**

(6:6). მსაჯი (დრო) პაატა ნარიმანაშვილი (41 + 43 წუთი)

აია-ჰეი: შვანგირაძე; ჩუბინიძე, ხონელიძე, სოფრომაძე, ხამაშურიძე; შერვაშიძე, ბ. ძაგნიძე — გურემიძე (ბალანჩივაძე), პაპავა (დოლაბერიძე), აშვეთია; ლევიძე (აბაშიძე), ოდიშარია (ზიბზივაძე); გოგისვანიძე, გორგიძე, ფხაკაძე. — 4ს: ჩუბინიძე (12, 39, 53), შვანგირაძე (74)

ყოჩები: მაჩიტიძე; ლიპარტელიანი (პეტრიაშვილი), საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, მხეიძე; ტეფნაძე, ხელაძე — ფირიაშვილი, ტყემელაშვილი (კიკუაშვილი), ესაკია; გუშარაშვილი (ხურცილავა), გიორგობიანი (სულთანიშვილი); ლეჟავა (ჭელიძე), ურუშაძე, კობახიძე. — 3ს: კობახიძე (16, 36, 55)

იუზა კაციტაძე

# მსიე კლოდი ისევ ჩამოსულა

27 სექტემბრის ტური აღარ გაიმართება. რაგბის კავშირს საფრანგეთიდან ისევ ჩამოუყვანია კლოდ სორელი, ვინაც „ბორჯღალოსნებს“ 12 ოქტომბერს ხორვატიასთან თბილისში შესახვედრად ვაკის სტადიონზე უტარებს ვარჯიშებს.

რაკი „შევარდენი“ პირველობაში კვლავაც უკონკურსოდ მონაწილეობს, მისი, ზოგი მოთამაშე პარალელურად „ა“ ჯგუფშიც თამაშობს. ლევან შაორშაძემ შაბათს „უნივერსიტეტს“ 4 ლელო თავად გაუტანა და ორის გატანაშიც წილი დაიდო, სამშაბათს კი მანვე ასკ-იც დაალელოვა, ოღონდაც უკვე „გუმარის“ სახელით.

რუსთავში „ქორები“ ბოლო წუთამდე იგებდნენ. მათ ბურთი კიდეზე მოიგერიეს, მაგრამ მამუკა მინდორაშვილმა იგი უცებ გადმოუგდო პაატა ძოწენიძეს, ამან კი ლელოსკენ გაქუსლა. იერიში ემზარ ძაგნიძემ დააბოლოვა.

# მერთენსმა სპენსერს აჯობა

ქენთებრი ოქლენდს ტრადიციით არ ჩამოუვარდება, მაგრამ მასთან პარასკევამდე ბოლოს 1983 წელს გაემარჯვა.

„ლანკასთერ პარკზე“ თამაშს 35 ათასი კაცი დაესწრო. შესვენებამდე ფეხით თამაში გაიმართა, მერე კი ბურთაობაც გახურდა. 46-ე წუთზე მასპინძლებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, 22-ში დანიშნული შერკინებიდან კი შუამარბმა თაბაი მეთსონმა ლელო კარში გაიტანა.

„ოლ ბლექსის“ ახალ 10 ნომერს, ოქლენდელ კარლოს სპენსერს ყოველმხრივ აჯობა ყოფილმა, ქენთებრელმა ენდი მერთენსმა. მან ჭკვიანური დარტყმებით მანძილიც ბლომად მოიგო და არეკნიც დაკრა.

ყველაფერი დასკვნით მეოთხედში გადაწყდა. მასპინძელთა შერკინებამ სტუმრებისა მთლად დაიბრიყვა. გარემარბმა აფატო სოოალომ ზედიზედ გაარღვია დაცვა, ლელო კი 9 ნომერმა ჯასთინ მარშალმა 73-ე წუთზე ახლოდან გაიტანა.

### ახალი ზელანდიის პირველობა

AIR NEW ZEALAND NPC

VI ტური. 19-21. 09: ქენთებრი (ქრაისთჩერჩი) 20 (3) (2ლ: მეთსონი, მარშალი; 2გ, ს, ა: მერთენსი) — ოქლენდი 9 (3) (3ს: სპენსერი); თარანაქი (ნიუ-პლიმუთი) 33 (20) (3ლ, 3გ, 4ს) — ველინგთონი 42 (16) (6ლ, 3გ, 2ს); საუსლენდი (ინვერქარგილი) 21 (14) (2ლ, გ, 3ს) — ვაიქათო (ჰამილთონი) 29 (7) (4ლ, 3გ, ს); ქაუნთიზ-მანუკაუ (პუკეკოე) 16 (3) (ლ, გ, 3ს) — ოთაგო (დანიდინი) 14 (7) (2ლ, 2გ)

| I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქენთებრი | 6 | 5 | - | 1 | 4 | 206: 81 | 24 |
| ვაიქათო | 5 | 4 | - | 1 | 3 | 142: 83 | 19 |
| ქაუნთ-მანუკაუ | 6 | 4 | - | 2 | 1 | 129:134 | 17 |
| ოქლენდი | 5 | 3 | - | 2 | 3 | 107: 99 | 15 |
| ოთაგო | 6 | 3 | - | 3 | 3 | 150:143 | 15 |
| ველინგთონი | 5 | 2 | - | 3 | 4 | 134:192 | 12 |
| თარანაქი | 5 | 2 | - | 3 | 2 | 169:188 | 10 |
| საუსლენდი | 5 | 1 | - | 4 | 3 | 138:199 | 7 |
| ჩრდ. ნავსაყუდ. | 5 | - | - | 5 | 2 | 82:138 | 2 |


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ზაალ გიგინეიშვილი, ზურაბ მექვევლია

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29